# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი-სამშაბათი, 18-19 იანვარი. 2021 წ. №11-12 (9130-9131) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი




## რუსლან პირველი, ანუ იგივე რიჩარდ მესამე თანამედროვე საქართველოს რეალობაში
6-7

**დევნილი მთავრობის ხარბი თავკაცი**

**ღია წერილი მმართველ პარტიას, ქვეყნის მთავრობას, პარლამენტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს**

## ქართველი ქალის მამულიშვილური სახე, მთელი ქვეყნის ღირსება, აკადემიკოსი მზექალა შანიძე 95 წლისაა
5



## ქართველ მეცნიერთა აღიარება



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ულოცავს აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს მეცნიერების, ტექნიკისა და ინოვაციური ტექნოლოგიის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისთვის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო პრემიის ლაურეატის წოდებას.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - -



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს თამაზ ჭელიძეს, მიხეილ ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის პრეზიდენტს, მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკების ევროპული ცენტრის დირექტორს, საერთაშორისო გეოფიზიკური და გეოდეზიური ასოციაციის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარეს, დიდი ბრიტანეთის სამეფო ასტრონომიული საზოგადოების საპატიო წევრად არჩევას, რაც ქართული გეოფიზიკური სკოლის საერთაშორისო აღიარებაა.

## 2006 წლის სკანდალური ოქმის საფუძველზე სააკაშვილს ბრალს წაუყენებენ!
3

## ვაი, შენ ჩემო საქართველოვ!



4

**რაც სააკაშვილმა წამართვა, „ოცნებამ“ არ დამიბრუნა!..**

## სიკვდილზე გამარჯვებულმა კაპიტანმა საცოლეს სვეტიცხოველში ხელი სთხოვა!..



„მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, კაპიტანმა ივერი ბუაძემ, რომელსაც ამერიკელმა ექიმებმა სიკვდილზე გამარჯვებული შეარქვეს, საცოლეს რუსუდან სიმონიშვილს დაბადების დღეზე სიურპრიზი მოუწყო და მოულოდნელად ხელი სთხოვა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

ივერი ბუაძემ სხეულის მძიმე დაზიანება ჩრდილოეთ ავღანეთში, ფარვანის პროვინციაში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შესრულებისას, ბაგრამის ავიაბაზის ახლოს თვითმკვლელი ტერორისტის მიერ განხორციელებული აფეთქების შედეგად მიიღო. მან სწრაფად იმოქმედა, სხეულით გადაეფარა აფეთქების ძირეულ ტალღას და სიცოცხლისთვის სახიფათო სხეულის მძიმე დაზიანებების ფასად მოახერხა გარშემო მყოფთა სიცოცხლის შენარჩუნება.

ივერი ბუაძემ სამედიცინო რეაბილიტაციის ხანგრძლივი კურსი გერმანიაში, აშშ-სა და საქართველოში გაიარა. გადატანილი 63 მძიმე ოპერაციის შემდეგ, ის ქართველ სამხედროებთან ერთად კვლავ დგას ქვეყნის სამსახურში. ამჟამად ქართველი ოფიცერი ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ტაქტიკური მომზადების ინსტრუქტორად მუშაობს...

**ბექა მჭედლიშვილი,**
თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

## ლეგენდა - მაია ჩიბურდანიძე იუბილარია!



„ქართული სპორტი მდიდარია წარმატებული ადამიანებით, პროფესიონალებით, რომლებმაც საერთაშორისო სარბიელზე შთამბეჭდავი გამარჯვებები მოიპოვეს. თუმცა მათ შორის არიან განსაკუთრებულად გამორჩეული სპორტსმენები, რომლებმაც გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, სპორტის სხვადასხვა სახეობაში მთელი ეპოქა შექმნეს. სწორედ ასეთი გახლავთ მაია ჩიბურდანიძე, ლეგენდარული მოჭადრაკე, ვინც ბრწყინვალე გამარჯვებებითა და დაუვიწყარი კარიერით ოქროს ასოებით ჩაეწერა მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში. ქალბატონმა მაიამ, ნონა გაფრინდაშვილთან ერთად, აბსოლუტურად ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქალთა ჭადრაკი და ერთგვარი საჭადრაკო რევოლუციით, ვაჟთა ჭადრაკს გაუთანაბრა. მაია ჩიბურდანიძე გახლავთ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი და საჭადრაკო ოლიმპიადების ისტორიაში ერთადერთი სპორტსმენი ნონას შემდეგ, რომელმაც 9 ოქროს მედალი მოიგო. მასვე ეკუთვნის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერის წოდება, ჭადრაკის „ოსკარის“ ოთხგზის გამარჯვებულის ტიტული და არაერთი ინდივიდუალური პრიზი. მთელი გულით ვულოცავ ქალბატონ მაია ჩიბურდანიძეს 60 წლის იუბილეს და ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ“!

**მიხეილ ჩხენკელი,**
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი



# კახა კალაძე: სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა გადავრჩეთ და გავიმარჯვოთ!

**„ქართული ოცნების“ იდეის სულისჩამდგმელმა ბიძინა ივანიშვილმა, პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. საუბარია ადამიანზე, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე დროს მოვიდა პოლიტიკაში, შეძლო საზოგადოების კონსოლიდაცია მაშინ, როდესაც ყველა იმედი დაკარგული ჩანდა, ჩვენს ხალხთან ერთად დაამარცხა მოძალადე რეჟიმი და საქართველოში თავისუფლების, მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრების გარანტი გახდა.**

ამ და შემდგომი დიდი გამარჯვებების მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ხალხმა მას და მთლიანად ჩვენს გუნდს მესამე ვადით გამოგვიცხადა ნდობა, ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი ნებით, გამარჯვებულმა დატოვა პოლიტიკა და ამ გადაწყვეტილებითაც კიდევ ერთხელ ყველას დაგვანახა, თუ რას ნიშნავს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უანგარო მსახურება.

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარება გარანტირებულია, ბიძინა ივანიშვილი პირნათელი და ვალმოხდილი ტოვებს პოლიტიკას.

დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენგანი, ყველა ჩვენი მხარდამჭერი კარგად აცნობიერებს, თუ რამდენად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენაზე ვსაუბრობთ.

რასაკვირველია, ეს რაღაც ახლის და მნიშვნელოვანის დასაწყისია, როგორც მაშინ, როდესაც ყველამ ერთად, ამ ქვეყნის მოქალაქეებს მთავარი ღირებულება თავისუფლება დავუბრუნეთ.

ჩვენ განვლილი წლების განმავლობაში არაერთი დიდი მიღწევა გვქონდა, გარკვეული შეცდომებიც დავუშვით და რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია ის, რისი გაკეთებაც ვერ შევძელით და ისიც გულდასაწყვეტია, ვინც ჩვენს თანაგუნდელად მიგვაჩნდა, მაგრამ სხვა გზა აირჩიეს. მიუხედავად ამისა, რამდენიც არ უნდა ვისაუბრო დღეს ამ ტრიბუნიდან, სწორედ ჩვენი პოლიტიკური გუნდია იმ ისტორიული მოვლენის მთავარი მოქმედი პირი, რაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დადასტურდა, როდესაც ჩვენი მოსახლეობის უპრეცედენტო გადაწყვეტილებით, „ქართულ ოცნებას“ მესამე ვადით მიენიჭა ნდობა.

საქართველოს მოსახლეობამ ამით კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა იმ გზის მართებულობა, რამაც არაერთი სირთულის მიუხედავად, ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანად მოიყვანა დღევანდელ დღემდე.

მოსახლეობის ამგვარი ნდობა გუნდის თითოეულ წევრს არნახულ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს გვაკისრებს.

წინ უამრავი გამოწვევაა – საქართველოს ყოველთვის რთულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში უწევდა გზის გაკვალვა, გადარჩენა და კონტექსტი დღესაც რთულია. თუმცა, დღეს, ჩვენ უბრალოდ კი არ უნდა გადავრჩეთ, არამედ უნდა გავიმარჯვოთ დ მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. დღეიდან, ჩვენ, ყველას ერთად, გუნდის გამოცდილ და ახალ წევრებს, კიდევ უფრო მეტი სიმძიმით დაგვაწვება ქვეყნის მართვის, ჩვენი ქვეყნის სამშვიდობოზე გაყვანის დიდი პასუხისმგებლობა და რაც არ უნდა მოხდეს, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ჩვენ ეს პასუხისმგებლობა უნდა ვიტვირთოთ, ჩვენმა ქვეყანამ უნდა მიაღწიოს საბოლოო გამარჯვებას და ხალხს უნდა შევუქმნათ ღირსეულად ცხოვრების პირობები და შესაძლებლობა.

პირველ რიგში უნდა დავძლიოთ პანდემიით გამოწვეული ყველა სირთულე და რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავაბრუნოთ ქვეყნის ეკონომიკა, განვითარების სწორ რელსებზე.

ამის შემდეგ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი სწრაფვა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ წარმატებით დასრულდეს და 2024 წლისთვის ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე შევიტანოთ განაცხადი - ეს ნიშნავს ქვეყნის შესაბამისი ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ეს ნიშნავს ღირსეულ შემოსავალს თითოეული მოქალაქისთვის, ეს ნიშნავს უკეთეს სოციალურ დაცვას, უკეთეს გარემოს, დაცულობას, უსაფრთხოებას და უკეთეს ცხოვრებას. ამიტომ ჩვენ ეს უნდა შევძლოთ.

ამ საქმეებს ერთგული, ენერგიით, ენთუზიაზმით და ამ ქვეყნის მომავლის რწმენით სავსე ადამიანების ერთობა სჭირდება და მჯერა, რომ ჩვენს განახლებულ გუნდს, ჩვენს პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც დღეიდან ჩემი დიდი ხნის თანამებრძოლი, მეგობარი და ნამდვილად კეთილშობილი ადამიანი ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს - მას, რა თქმა უნდა, ამის ძალა შესწევს. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის მასშტაბის პოლიტიკური ლიდერის შემდეგ, ძალიან რთულია ამ საპასუხისმგებლო პოზიციის დაკავება, თუმცა, თუკი იმ არაჩვეულებრივი გუნდიდან, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დატოვა, ვინმეს ხელეწიფება საუკეთესო ინტერესების დაცვით უხელმძღვანელოს ჩვენს პარტიას, ეს ირაკლი კობახიძეა.

ვულოცავ მას ამ საპასუხისმგებლო პოზიციაზე წარდგენას. დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდის თითოეული წევრის, პირველ რიგში ჩემი, როგორც ქალაქის მერი, როგორც „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რიგითი ჯარისკაცის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის და გუნდის სხვა ლიდერების სახით, გვერდში დავუდგებით მას და მაქსიმალურად დავეხმარებით იმ მძიმე ტვირთის ტარებაში, რასაც მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერობა აკისრებს. თავის მხრივ, დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ირაკლი სრულად გაამართლებს როგორც ჩვენს, ისე, რაც მთავარია, საქართველოს მოსახლეობის, ჩვენი მხარდამჭერების იმედებს.

ყველანი ერთად შევძლებთ ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევას და ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნას.

წინ დიდი გამარჯვებები გველოდება, გამარჯვებები, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჩვენს ხალხთან ერთად აუცილებლად მოიპოვებს. წარმატებას ვუსურვებ ირაკლის, ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს და ჩვენს ქვეყანას. ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ.

# ირაკლი კობახიძე: ჩვენი მიზანია ერთიანი საქართველო, ხალხის კეთილდღეობა და ევრო-ატლანტიკური ოჯახის სრულფასოვანი წევრობა!



**ძალიან დიდი მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის, ძალიან დიდი მადლობა გენერალურ მდივანს ,კახა კალაძეს ასეთი თბილი წარდგენისთვის – ნამდვილად საამაყოა, რომ ნამდვილი ჩემპიონი და ლიდერი ასეთი თბილი სიტყვებით წარგადგენს და გიჭერს მხარს.**

მივესალმები, რა თქმა უნდა, ჩვენს თანამოქალაქეებს, რომლებიც თვალყურს ადევნებენ დღეს, ჩვენს ყრილობას.

მივესალმები ჩვენი პარტიის 44 ათას წევრს. თითოეულ მათგანს შეაქვს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი ქვეყნისა და ჩვენი პარტიის წარმატებაში.

ჩემი გამოსვლა მინდა დავიწყო მადლობით, მადლობით ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს დაამარცხა სიცრუესა და ძალადობაზე დაფუძნებული რეჟიმი და საფუძველი ჩაუყარა ახალ დემოკრატიულ წესრიგს, რომელმაც ჩვენს ქვეყანას და ხალხს თავისუფლება, მშვიდობა და უსაფრთხოება მოუტანა. დღემდე ის იყო თავისუფლების, მშვიდობის და უსაფრთხოების მთავარი გარანტი ჩვენი ქვეყნისთვის. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის, რა თქმა უნდა, სერიოზულ გამოწვევას ნიშნავს. ამ გამოწვევაზე პასუხი უნდა იყოს გუნდის სიმტკიცე და ერთიანობა, კიდევ უფრო მეტი თავდადება და შემართება ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს ასევე მინდა მადლობა გადავუხადო 2014 წლიდან პირადად ჩემთვის გამოცხადებული ნდობისთვის. მადლობას ვუხდი პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრებს პარტიის თავმჯდომარედ წარდგენისთვის, განსაკუთრებული მადლობა პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას, პარლამენტის თავმჯდომარეს არჩილ თალაკვაძეს და პოლიტიკური საბჭოს, ამ პოლიტიკური გუნდის თითოეულ წევრს გამოცხადებული ნდობისთვის.

მადლობას გიხდით ყრილობის დელეგატებს და ჩვენი პარტიის თითოეულ წევრს ჩემთვის გამოცხადებული ესოდენ მაღალი ნდობისთვის. გაძლევთ პირობას, რომ მაქსიმალურად დავიხარჯები ამ ნდობის გასამართლებლად.

ჩვენ გაერთიანებული ვართ „ქართული ოცნების“ გარშემო. „ქართული ოცნება“ ალბათ სამ მთავარ რამეში გამოიხატება:

პირველი, ეს არის ერთიანი საქართველო – ერთიანი ფიზიკურად და სულიერად. ფიზიკურად ერთიანი საქართველო აფხაზეთითა და სამაჩაბლოთი, აფხაზებითა და ოსებით. სულიერად ერთიანი საქართველო, სადაც ადამიანებს არ ჰყოფს სიძულვილი, არამედ ერთმანეთის სიყვარული აერთიანებს.

ჩვენი ქართული ოცნება საქართველოს კეთილდღეობის ევროპული დონით, ძლიერი ქალაქებითა და სოფლებით, ძლიერი და წელში გამართული ოჯახებით – საქართველო, სადაც ერთი ადამიანიც აღარ ცხოვრობს სიღარიბეში.

ჩვენი ქართული ოცნებაა საქართველო, რომელიც არის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების თანამეგობრობის ევროპული და ევროატლანტიკური ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

სწორედ ამ ოცნებით გაერთიანდა ქართული საზოგადოება 2012 წელს ბიძინა ივანიშვილისა და ჩვენი პარტიის გარშემო. სწორედ ამ ოცნებამ, ღირებულებებმა და შემართებამ მისცა ჩვენს ხალხსა და პარტიას შესაძლებლობა საფუძველი ჩაეყარა დემოკრატიული გარდატეხისთვის, რამაც შექმნა მყარი საფუძველი საქართველოს ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად.

გასული წლების მანძილზე, ჩვენს გუნდს ჰქონდა უამრავი წარმატება. ბუნებრივია, იყო ხარვეზებიც და შეცდომებიც, რომელთათვისაც თვალის გასწორებას ჩვენ არასოდეს შევშინებივართ. დღეს, როდესაც „ქართულ ოცნებას“ აქვს სახელმწიფოს მართვის რვაწლიანი გამოცდილება, როდესაც ჩვენს პოლიტიკურ გუნდს ჰყავს ღირსეული და გამორჩეული ლიდერები, პროგრესული საპარლამენტო და სამთავრობო გუნდი, ღირსეული ლიდერები და წარმომადგენლები ადგილობრივ ხელისუფლებაში, პარტიას შეუძლია ახალი შემართებით განაგრძოს საქმიანობა, რათა ბოლომდე იქნეს მიყვანილი ის საქმე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებული 2012 წლის დემოკრატიული გარდატეხით დაიწყო – ეს არის ჩვენი ქვეყნის გარდაქმნა მთელი თავისი არსით ევროპულ სახელმწიფოდ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ამბიციური გეგმა, შევქმნათ მყარი საფუძვლები, რათა 2024 წელს საქართველომ წარადგინოს ოფიციალური განაცხადი ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე. გისურვებთ ყველას ბედნიერ და წარმატებულ 2021 წელს.



ერთად საქართველოს წარმატებისთვის!

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის.

ერთად დავდგეთ საქართველოს წარმატებისთვის!

**16 იანვარი, 2021 წ.**

## „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრები

- **ირაკლი კობახიძე** — მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
- **კახა კალაძე** — პარტიის გენერალური მდივანი და პოლიტიკური საბჭოს წევრი;
- **ვასილ მაღლაფერიძე** — პარტიის თავმჯდომარის მოადგილე და პოლიტიკური საბჭოს წევრი;
- **გიორგი გახარია** — პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
- **არჩილ თალაკვაძე** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
- **მაია ცქიტიშვილი** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ვიცე-პრემიერი;
- **გიორგი ვოლსკი** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი;
- **ირაკლი ღარიბაშვილი** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი;
- **თეა წულუკიანი** — პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე;
- **მამუკა მდინარაძე** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თამჯდომარე;
- **კახაბერ კუჭავა** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
- **ვახტანგ გომელაური** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრი;
- **ეკატერინე ტიკარაძე** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
- **ივანე მაჭავარიანი** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
- **მაკა ბოჭორიშვილი** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;
- **შალვა პაპუაშვილი** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
- **მარიამ ქვრივიშვილი** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
- **ნიკოლოზ სამხარაძე** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე;
- **სოზარ სუბარი** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე;
- **დიმიტრი სამხარაძე** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარტიის რეგიონული მდივანი, პარლამენტის წევრი;
- **თორნიკე რიჟვაძე** — პოლიტიკური საბჭოს წევრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.



# 2006 წლის სკანდალური ოქმის საფუძველზე სააკაშვილს ბრალს წაუყენებენ!

დავით გარეჯის საქმეზე დაკავებული, **ნატალია ილიჩოვასა** და **ივერი მელაშვილის** საქმეზე პროკურატურამ გამოძიება დაასრულა. საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში წარიმართება. საქმის პროკურორის **მიხეილ სადრაძის** განცხადებით, საგამოძიებო უწყება გამოძიებას აგრძელებს ამ საქმესთან დაკავშირებით სხვა შესაძლო დამნაშავე პირთა გამოვლენის მიზნით.

როგორც ცნობილია, გენერალური პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევის ფაქტზე. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას წინააღმდეგ.

მათი ბრალეულობა საკმაოდ მაღალი მტკიცებულებათა სტანდარტით არის დადასტურებული. გამოძიების მიერ მოპოვებულია უამრავი მტკიცებულება. გამოკითხულია ათეულობით მოწმე. მოპოვებულია ყველა რელევანტური დოკუმენტაცია, ელექტრონული ინფორმაცია, რუკა და სხვა კარტოგრაფიული მასალები. ასევე, მიღებულია არაერთი ექსპერტიზის დასკვნა.

რაც შეეხება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სხვა შესაძლო დამნაშავე პირთა გამოვლენას, პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას. როგორც საქმის პროკურორი განმარტავს, ინფორმაცია საზოგადოებას უახლოეს დღეებში მიეწოდება. ცნობილია, რომ დავით გარეჯის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, პროკურატურაში განმეორებით გამოიკითხა სადელიმიტაციო-სადემარკაციო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **გიორგი მანჯგალაძე**.

მან გამოძიების ყველა კითხვას უპასუხა, თუმცა მანჯგალაძე თავს იკავებს იმ კითხვაზე პასუხისგან, თუ რა ინფორმაცია მიაწოდა დამატებით გამოძიებას დავით გარეჯის საქმესთან დაკავშირებით. საქმის ფარგლებში მანჯგალაძე ოქტომბერში გამოიკითხა. რა ჩვენება მისცა მანჯგალაძემ გამოძიებას, უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ საქმეში დევს 2006 წლის ივლისით დათარიღებული კომისიის ოქმი, სადაც პირდაპირ წერია — „მხარეები შეთანხმდნენ, რომ საზღვარმა საქართველო-აზერბაიჯანს შორის გაიაროს მთის თხემზე“ — ეს გახლავთ ის შუალედური დოკუმენტი, რომელსაც კომისიის მაშინდელმა თავმჯდომარემ გიორგი მანჯგალაძემ ხელი არ მოაწერა და ამის გამო საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემიდან წავიდა.

ამ სკანდალური ოქმის შესაბამისად, ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეს კომისიის წევრები, მუშა ჯგუფები არა მხოლოდ სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ საზღვარი თხემზე გაივლის, არამედ უკვე დოკუმენტში გადაიტანეს. რადგან არსებობდა ეს შუალედური დოკუმენტი, აზერბაიჯანული მხარის გადაწყვეტილებით თხემზე აზერბაიჯანელი მესაზღვრეები განლაგდნენ. გამოძიებით ირკვევა, რომ სააკაშვილის გარეშე ამ შუალედური დოკუმენტის შედგენა ვერ მოხდებოდა. სწორედ 2006 წლის კომისიის ოქმის გარშემო მისცა გამოძიებას დამატებით ჩვენება მანჯგალაძემ, რომლის დაკითხვით შეშფოთებულია ექს-პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი,** რომლის განცხადებით, ეს ამ პროვოკაციის შემდეგი ეტაპებია.

**„ისინი აპირებენ, რომ ჯერ ალაპარაკონ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მანჯგალაძე, რომელიც იტყვის, რომ მან რაღაც დავალებები მიიღო ჩემგან თუ სხვისგან ამ ტერიტორიების გასხვისების, შემდეგ ისინი აპირებენ გამოიყვანონ მოსკოვში მცხოვრები აზერბაიჯანული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ ფული გადაიხადეს, რაც დაიბადება „ეფ-ეს-ბეს“ პროპაგანდის და ივანიშვილის თავში, ამ მიწების გასხვისებისთვის და მერე ამაზე ააგებენ მთელ ამბავს, რომ ჩვენ გავყიდეთ ქართული მიწა“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

დავით გარეჯის გასხვისების საქმეში გამოძიებამ მიხეილ სააკაშვილის როლი გამოკვეთა, მათ შორის, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის. ახლა გამოძიებაზეა დამოკიდებული, როდის წაუყენებს ბრალს საქმის ფიგურანტებს. შეგახსენებთ, რომ გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთობლივი თანამშრომლობით ორი მოქედი ჩინოსანი — ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა დააკავა. მათ ბრალი ედებათ უცხო ქვეყნისათვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისაკენ მიმართული მოქმედების განხორციელებაში.

ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემული რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის დავით გარეჯთან მიმართებით.

თავდაცვის მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, ყველა თავმოყვარე სახელმწიფო და ერი ასეთ მოღალატეობრივ საქციელს სახელს დაარქმევს. მისი თქმით, არსებობს ძალიან მძიმე ფაქტები და არა სპეკულაციები.

**„მე ვსაუბრობ ფაქტებზე. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ის კონტრაქტი, რაც გაფორმდა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, არის დარღვეული. რეალურად, მაშინ მხარეები შეთანხმდნენ, რომ მხოლოდ ერთ რუკას გამოიყენებდნენ საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის დროს. ეს არის 1938 წლის რუკები. შემდეგ მიდის სპეკულაციები.**

**ზოგი ახსენებს 29 წლის რუკას, ზოგი 37 წლის რუკას, 42 წლის რუკას და ა.შ. მანიპულირებენ, როგორც გამოცდილი, გაწაფული თაღლითები, რომ საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში. ამ დროს სიმართლე, ჭეშმარიტება არის მხოლოდ ერთი — ამ რუკის მიხედვით რომ გაეტარებინათ, მაგალითად, ჩიჩხიტური და ის ქედი, რომელზეც არის დღეს დავა და რეალურად აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დადგნენ 2006 წელს (კითხვა მაქვს, მაშინ რატომ დადგნენ იქ?), არ იქნებოდა დღეს სადავო“,** — განაცხადა მინისტრმა.

თავდაცვის მინისტრი დარწმუნებულია, რომ პროკურატურა ამ საკითხს ბოლომდე მიიყვანს. **„რა თქმა უნდა, ჩემი ბუნებრივი მოლოდინი და სურვილი არის, რომ დადგინდეს ჭეშმარიტება და ყველა კითხვას გაეცეს პასუხი. ჩვენ ისეთი მიამიტები არ ვართ, ვინმემ დაიჯეროს, რომ ის ორი კარტოგრაფი, რომლებიც ახლა დაკავებულები არიან, წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან, მხოლოდ მათ დონეზე გადაწყდა რამე. ადამიანი უნდა იყოს ძალიან დიდი ბრიყვი, რომ ეს დაიჯეროს. მით უმეტეს, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები — ზოგი მინისტრი იყო, ზოგი მინისტრის მოადგილე, პრემიერ-მინისტრი იყო, ადასტურებენ, რომ ეს მონაკვეთი, დავით გარეჯის ერთი ნაწილი არ მიეკუთვნებოდა საქართველოს. პირდაპირი აღიარებითი ჩვენებები აქვთ გაკეთებული ამ ადამიანებს“,** — განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**

# ნამახვანჰესი აუცილებლად უნდა აშენდეს!

**სოფელ ჟონეთში ნამახვანის ჰესის მშენებლობის მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა აქციები გამართეს. მშენებლობის მოწინააღმდეგეთა პროტესტი უკვე 83-ე დღეა, გრძელდება.**

აქციის მონაწილეების თქმით, ჰესის მშენებლობა რეგიონში ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს. მათივე განმარტებით,უსაფრთხოების გარანტიები ამ დრომდე ვერც ხელისუფლების და ვერც ჰესის მშენებელი კომპანიისგან ვერ მიიღეს. რიონის ხეობის ის ნაწილი, რომელიც ჰესის მშენებლობის წინააღმდეგია, პროტესტის შეწყვეტას არ აპირებს.



აქცია გამართეს აგრეთვე ნამახვანჰესის მშენებლობის მომხრეებმა. „არ გააჩერო ნამახვანჰესი“, — ამ სლოგანით რიონის მოსახლეობა სოფელ ოფურჩხეთში შეიკრიბა. მათი თქმით, ჰესის მშენებლობა უნდა გაგრძელდეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, ჰესის მშენებლობის შემთხვევაში განვითარდება ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, შეიქმნება სამუშაო ადგილები და ემიგრანტები სამშობლოში დაბრუნდებიან... ადგილობრივები ჰესების მშენებლობაში საფრთხეებს ვერ ხედავენ. მშენებელ კომპანია „ენკაში“ კი განმარტავენ, რომ მზად არიან მოწინააღმდეგე მხარეს დოკუმენტებით აუხსნან, რომ ჰესის მშენებლობა საფრთხეს არ შეიცავს.

**ყველაზე მეტად ცხოვრებაში მაშინ შევძრწუნდი, როცა ღამით , აალებულ აფხაზეთს გადაუფრინა ჩვენმა თვითმფრინავმა. საზარელი სანახაობა იყო და მაშინ კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ ადამიანის უგუნურებას საზღვარი არ აქვს! გენეტიკურად მონათესავე ორმა ერმა დავკარგეთ განსჯის უნარი და მოსისხლე მტრებად ვიქეცით!**

**ეროვნული სირცხვილით დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს უახლესი ისტორია. ზარ-ზეიმით არჩეული გამსახურდიას ხელისუფლება, საკუთარი ამბიციების ტყვეობაში აღმოჩნდა და საკუთარმა თანამოაზრეებმაც სასწრაფოდ მოისროლეს ისტორიის სანაგვეზე. წითელასავით გამოგვაყარა ყველა იმ მანკიერებამ, რომელიც მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე უკან გვექაჩებოდა. საქართველო დღესაც ნაციონალური გარეწრების, ავანტიურისტების, უცხოტომელების ხელშია. ქვეყანა მათ მიერ დაკანონებულ სიცრუეში, განუვითარებლობასა და უკანონობაში ცხოვრობს და ამაოდ ცდილობს ფეხზე წამოდგომას.**

**აქა-იქ, ჯერ კიდევ შემორჩენილი, მოაზროვნე ქართველები, შეშფოთებული ვადევნებთ თვალს ტელესივრცეში და მასმედიაში „გამაგრებულ“ თაღლითებს, რომლებიც ხმის ჩახლეჩამდე ქადაგებენ თავიანთ „უცოდველობას“ და სამწუხაროდ, წარმატებით ახერხებენ ადამიანთა ტვინების გამორეცხვას.**

**საქართველო პოლიტიკურ, საცდელ პოლიგონადაა ქცეული და ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი საღი აზრი, ამაოდ ცდილობს პოლიტიკურად ზომბირებული საზოგადოების გამოფხიზლებას.**



# ვაი, შენ ჩემო საქართველოვ!

საპარლამენტო არჩევნების წინ არ უღალატეს ტრადიციას — წამოაყენეს ლოზუნგი „ყველა — ერთის წინააღმდეგ!“ და დაიწყო... ის, სამარცხვინო პროცესი, რომელიც დამოუკიდებლობის შემდეგ, წითელი ზოლივით გასდევს ყველა პოლიტიკურ ღონისძიებას.

ერთპროცენტიანი ბარიერიც კი ვერ გადალახეს საქართველოში აღრიცხული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ! თუმცა, გააზრებულად იპოვეს „განტევების ვაცი“ — ხელისუფლება! და დაიწყო ტოტალური შეტევა მასზე. „ქურდები“, „გამყალბებლები“, „მტრები“ და ა.შ... ყოველივე ეს, კი ხდება იმ პანდემიის ფონზე, რომელიც მსოფლიოს აზანზარებს და ყოველდღიურად 10 ათასობით ადამიანი მიჰყავს საიქიოში.

ოპოზიციაც და მისი კრიმინალი ლიდერი, რომელიც თბილადაა მოკალათებული უკრაინაში, საქართველოში აანონსებს სისხლისღვრას, რევოლუციას, კაცთაკვლას. ინსტრუქციებს აძლევს ქართულ პოლიტიკას ჩაბღაუჭებულ, ყოვლისმკადრებელ არსებებს და ნაცბანდაში თავმოყრილ ათასი ჯურის ავანტიურისტსა და ხელმოცარულ თაღლითს.

სამწუხაროა, რომ ნაცმოძრაობის ნავში ვიხილეთ სხვა ოპოზიციური პარტიები და ნინო ბურჯანაძე, რომელმაც დაკარგა ნიშა, რომელიც ადრე ჰქონდა. ახლადშექმნილი პარტია „ლელო“, რომელიც გააზრებულად თუ გაუაზრებლად მიეკედლა ნაცებს, არადა მათში ამომრჩეველი ხედავდა პოტენციალს და მოიაზრებდა მეტად საჭირო მესამე ძალად!.. ვთვლი, რომ „პატრიოტთა ალიანსმა“ სწორად ვერ შეარჩია წინასაარჩევნო ტაქტიკა და ძალაუნებურად მიუშვა ქვეყნის არეულობის წისქვილზე წყალი, რაც სამწუხაროა...

ამ ყველაფრის ფონზე, ჩნდება კითხვა: რამ შეგაძულათ, ბატონებო, ასე ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი? — იმან, ხომ არა, რომ პოლიტიკურ პარტიებს ამოფარებულებმა საბიუჯეტო დაფინანსებით ცხოვრება აიწყვეთ. სხედხართ შუშის ოფისებში, დადიხართ დიდი, შავი „ჯიპებით“ და დაცვით, ისვენებთ საზღვარგარეთის კურორტებზე, ინიშნავთ უზარმაზარ პარტიულ ხელფასებს და მხოლოდ იმაზე ფიქრობთ, როგორ უმტროთ თქვენივე ქვეყანას, თქვენივე ხალხს! წინასაარჩევნო ლოზუნგებზე, მილიონები დახარჯეთ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ყველაზე მეტი ოპოზიციონერი გახვედით პარლამენტში და უფრო მეტი გინდათ?!

ხელახალი არჩევნებიო! — რომ გაჰკივით ხმაშეწყობილად, არ გიფიქრიათ, ვინ უნდა დააფინანსოს თქვენი ხუშტურები?!

1%-იანი ლეიბორისტები, რომ გაჰყვირიან 8-10 კაცი უნდა გვყავდეს პარლამენტშიო, როცა ამის არანაირი საფუძველი არ გაქვთ — ნუთუ, არ გრცხვენიათ? რით სჯობს უტიფარი გუგავა ნებისმიერ ქართველს განათლებით, ან გაკეთებული საქმეებით? ან კიდევ ვინმე იაგო ხვიჩია და მასავით უსახური, „პლანის“ მქაჩველები რომ ყელყელაობენ, „არ შევალთ პარლამენტშიო“, რას გვამადლით თქვენს თავს - რომელსაც კიტრის ფასიც კი არ აქვს?!

რა, ბნელა?!

ახლა, კარგად დამიგდეთ ყური, არა მარტო თქვენ, არამედ თქვენს მიერ შეცდომაში შეყვანილმა ამომრჩეველმა, რომელმაც რიგ შემთხვევაში, გაუაზრებლად მოგცათ ხმა:

თქვენ ხომ ის ხალხი ხართ, რომლებმაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პირველი დღიდანვე დაიწყეთ ჩვენი საზოგადოების შევიწროება? ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წელიწადს, ფაშისტურ გერმანიას არ ჰყოლია 300 ათასი რეპრესირებული. რას გვერჩოდით იმ ხალხს, რომლებსაც წლობით ნაგროვი ქონება წაართვით? ე.წ. „საპროცესო“ შეთანხმებით, რაც კი რამე ფული გვქონდა, ისიც რომ „აგვახიეთ“! ესეც არ იკმარეთ და ციხეში გამოგვკეტეთ! როგორ გგონიათ — ქართველ ხალხს ამნეზია დაგვემართა?

რას მერჩოდით მე,ცნობილ მეცნიერს, საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულს, ორგზის ორდენოსანს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, რომელსაც საერთაშორისო კონფერენციებზე ფეხზე დამდგარი მეგებებოდნენ ტრიბუნასთან და ასევე მაცილებდნენ, აფხაზეთში, 16 წლის განმავლობაში, ქართული მოძრაობის ხელმძღვანელს, ორი უნივერსიტეტის რექტორს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს და ა.შ. რატომ წაართვით ქართველ ხალხს ჩემნაირები? ნებისმიერი ქვეყანა ხომ იამაყებდა ჩემით? ყოველთვის იმას ვცდილობდი, ჩვენი საქართველო ღირსეულად წარმედგინა მსოფლიოსთვის. რამდენი პროექტი, კონფერენცია, რამდენი შრომა და ჯაფა, რამდენი ბრძოლა გამომივლია საქართველოსთვის! რაშიც პროფესიონალი ვიყავი, რაც კი ვიცოდი — მე იმით ვიბრძოდი! ის გამქონდა საერთაშორისო ასპარეზზე და ამ ცოდნით და გამოცდილებით ჩემს წილ აგურს ვდებდი საქართველოს ფეხზე დასაყენებლად!

მე თვითონვე გაგცემთ პასუხს, ჩემსავე დასმულ კითხვაზე — რატომ, და იცოდით, მე და ჩემნაირებს ვერ დაგვაჩოქებდით, ჩვენი შემხედვარე კი ბევრიც არ დაიჩოქებდა. თქვენი მოკლე ჭკუებით, გადაწყვიტეთ ავტორიტეტების რეპრესიით დაგეშინებინათ სხვები. იმიტომ, რომ დაგენგრიათ მეცნიერება, განათლება, ჩაგეწიხლათ აგრარული, თუ სხვა წარმატებული სექტორები! (ცნობისთვის, ჩემსავე პერიოდში რეპრესიებს ემსხვერპლნენ — ტრანსპორტის მინისტრი, ცნობილი მეცნიერი მერაბ ადეიშვილი, „საქართველოს რკინიგზის“ ფეხზე დამყენებელი აკაკი ჩხაიძე, ცნობილი მეცენატი, ბიზნესმენი გია ჯოხთაბერიძე და კიდევ ძალიან ბევრი წარმატებული ადამიანი, რომლებიც აშენებდნენ ჩვენი ქვეყნის იმიჯს და ეკონომიკას. — ვინ ამოიღეთ მაშინ ამაზე ხმა, თქვე კურდღლებო?! — არავინ! რატომ? — გეშინოდათ თქვენი გიჟი ბელადის და იმიტომ.

თქვენ ის ხალხი ხართ, რომლებმაც ნიჭიერ ქართველ საზოგადოებას აზროვნება დაუხშეთ, მსოფლიო დონის სამეცნიერო ცენტრები მიწასთან გაასწორეთ, უმაღლესი განათლება კოლეჯის დონემდე დაიყვანეთ, ჩაწიხლეთ ხელოვნება, სპორტი, მწერლობა, ადამიანებს წაართვით ყველაფერი, რაც გვახარებდა, გვეამაყებოდა. თქვენ ის ხალხი არა ხართ, საქართველოს ნაწილი რომ გაყიდეთ, რუსეთთან უგუნური ომი წამოიწყეთ, რათა მისთვის არა მარტო ტერიტორიები, არამედ ის მატერიალური სიკეთეც „მიგერთმიათ“, თაობებმა რომ შეჰქმნეს. თქვენ ის ხალხი არა ხართ, ქვეყანას თავზე უვიცები (მერაბიშვილები, ადეიშვილები, ზოდელავები და ა.შ.) რომ წამოაჯინეთ? — რატომ? იმიტომ, რომ თავად უვიცებს, მოაზროვნე ადამიანი გეზიზღებოდათ... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

თქვენ და თქვენნაირები სოროებში უნდა იმალებოდეთ და „ქართულ ოცნებას“ მიტევებისთვის, კოჰაბიტაციისთვის უკანალს უნდა უკოცნიდეთ.

არ გეგონოთ, მე ვინმეს ბრმა მხარდამჭერი ვიყო!.. არც „ქართულ ოცნებას“, არც მის დამფუძნებელს გაუკეთებია ჩემთვის რამე. რაც სააკაშვილმა წამართვა, „ოცნებამ“ არ დამიბრუნა და ჩემთვის თითქმის იგივე დანაშაულის ტოლფასია მათი გულგრილობა. მაგრამ, თქვენთან და თქვენნაირებთან შედარებით, „ქართული ოცნება“ აშენებს და არ ანგრევს, გასცემს და არ იპარავს, ადამიანების ღირსებას ფეხქვეშ არ თელავს, არამედ უფრთხილდება, უყვარს ქვეყანა და ცდილობს ის უფრო მიმზიდველი გახდეს.

ჩვენი პატარა საქართველო, სამწუხაროდ, ღარიბია და ვერ აჰყვება თქვენს ხუშტურებს და ალოგიკურ აზროვნებას. იცით რა? — სულ არ გვაინტერესებს თქვენნაირი მანქურთები საქართველოს პარლამენტში იქნებით თუ არა — ვინაიდან, გვახსოვს, წინა ორ პარლამენტში თქვენი მავნებლური „საქმიანობა“. თქვენ ხომ დებოშების, აურზაურის, საქართველოს დასმენებისა და მტრობის მეტი არაფერი შეგიძლიათ? ასე რომ, ითხოვთ „მოპარულ ხმებს“ — ნეტავ მართლა შეგეძლოს ხელახალი არჩევნების ჩატარება, სადაც იმ ხმების 10 პროცენტსაც ველარ აიღებდით.

იმასაც ვერ ხვდებით, ძალაუფლების დაუოკებელმა წყურვილმა ისე დაგიბინდათ გონება, უბადრუკები და საცოდავები სჩანხართ!

რაც შეეხება თქვენს ნავში ჩამხტარ, პაჭა-პუჭა პარტიებს, ალბათ მოვლენ გონს, მათთან ხომ გონიერი ადამიანებიც არიან?..

**„გულთბილი“ მოკითხვით,**
**თქვენი კრიმინალური**
**მმართველობის მსხვერპლი**
**ნაპოლეონ ქარქაშაძე,**
**აკადემიკოსი.**

**P.S. ბატონი ბიძინა საქართველოს ისტორიაში ჩაიწერება როგორც რაინდი, რომელმაც ქართველებს ღირსება შეუნარჩუნა. თქვენ კი, ნაცებო, როგორც უმადური, მოძალადე, მოუშორებელი ჭირი, ღვთისა და ერისგან განკვეთილი იქნებით!**

# ქართველი ქალის მამულიშვილური სახე, მთელი ქვეყნის ღირსება, აკადემიკოსი მზექალა შანიძე 95 წლისაა



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განსაკუთრებული პატივისცემით ეხმაურება გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს მზექალა შანიძის მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს და ულოცავს მას დაბადებიდან 95 წლის შესრულებას.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი მზექალა შანიძე საქართველოსა და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ცნობილია, როგორც ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის პირველხარისხოვანი მკვლევარი, ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის, კერძოდ, ქართული ბიბლიური წიგნების ჩინებული ექსპერტი, ქართული ფილოლოგიური სკოლის, ქართველოლოგიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი. თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილ. აბულაძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, გელათის მეცნიერებათა აკადემიაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ქალბატონმა მზექალამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ენისა და სიტყვიერი კულტურის შესწავლის შემდგომ წარმატებაში ჩვენს ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ.

აკადემიკოს მზექალა შანიძეს, საზოგადოდ, დიდი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის გამოვლენასა, წარმოჩენასა და შესწავლაში. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ილ. აბულაძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავად დააფუძნა ქართული ხელნაწერების შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია „ორიონი", მონაწილეობდა არაერთ სამეცნიერო ექსპედიციაში უცხოეთში არსებულ ქართულ სამონასტრო ცენტრებში, გამოავლინა და მეცნიერულად შეისწავლა არაერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი ძეგლი, მოამზადა მათი აღწერილობები და რედაქციულ-ტექსტოლოგიური ძიებანი. მაგალითად, ასეთი ფასეული გამოკვლევებია: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... S-ფონდისა, II-VI (1962-1969 წლებში); სამენოვანი აღწერილობა 1975 წელს სინას მთაზე აღმოჩენილი ქართული ხელნაწერებისა (ზ. ალექსიძესა, ლ. ხევსურიანსა და მ. ქავთარიასთან ერთად): Catalogue of Georgian Manuscripts discovered in 1975 of St. Catherine's Monastery on Mt. Sinai. Athens. 2005 რედაქტორი და ინგლისური ნაწილის მთარგმნელი მ. შანიძე. The old Georgian Version of the Liturgy of St. James (თანაავტ.: ლ. ხევსურიანი და მ. ქავთარია), Munster, 1911, ძველი ქართული ტექსტისა და გამოკვლევის ინგლისური თარგმანი ეკუთვნის მ. შანიძეს. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი (ნ. გოგუაძისა და ზ. სარჯველაძის თანარედაქტორობით), I ტ., თბ. 2005, II ტ., თბ. 2007, III ტ., თბ. 2014 და სხვ. მზექალა შანიძის მონაწილეობითა და რედაქტორობით მომზადდა არაერთი უმნიშვნელოვანესი გამოცემა ქართული თარგმნილი და ორიგინალური ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლებისა: აგიოგრაფიული ძეგლები, მრავალთავები, წმინდა წიგნთა თარგმანებანი... სულ ახლახან მათ შეემატა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული ქართული ბიბლიის აკადემიური ორტომეული, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი აკადემიკოს მ. შანიძეს მიუძღვის.

მკვლევარი წლების განმავლობაში შეისწავლიდა ამ ხელნაწერებს და, საფუძვლიან მეცნიერულ კვლევასთან ერთად, მნიშვნელოვან პოპულარიზაციას უწევდა ქართულ ქრისტიანულ მწიგნობრობას საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე ევროპის ქვეყნებში. ყველა მისი მოხსენება, ყოველი მისი სიტყვა საყოველთაო ინტერესის საგანია ქართული კულტურით დაინტერესებულ საზოგადოებაში, ფართო ფილოლოგიურ წრეებში. ასეთი პუბლიკაციებია: Remarques au sujet de la Bible Georgien. Bedi Karlisa. 41. Paris, 1983. Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica, v. II Leuven, 2000 (თანაავტ.). Greek Influence in Georgian Linguistics. - History of the Language Sciences. An International Handbook on the Evolution of the Study of Language, v. I, Berlin-New-York, 2000. Old Georgian Psalter and the Titles of the Psalms. Textual Research an the Psalms and Gospels. Papers from the Tbilisi Colloquium on the Editing and History of Biblical Manuscript. Lieden-Brill, 2012 და არაერთი სხვა.

**უაღრესად დიდია აკადემიკოს მზექალა შანიძის წვლილი ფსალმუნთა ძველი ქართული თარგმანების მეცნიერულად შესწავლასა და შესაბამისი აკადემიური გამოცემების მომზადებაში. მან X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით დაადგინა და 1960 წელს გამოსცა „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები" (სერია „ძველი ქართული ენის ძეგლები"). ეს იყო ბიბლიური წყაროების ერთ-ერთი სანიმუშო გამოცემა, რომელსაც სკრუპულოზური ფილოლოგიური მუშაობა უძღოდა წინ. მეცნიერმა სადოქტორო დისერტაცია სწორედ ამ ძიების შედეგებზე დაიცვა. 1975 და 1979 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მკვლევრის ენობრივ-ტექსტოლოგიური დაკვირვებანი აღნიშნული ხელნაწერი წყაროების შესახებ: „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები"; ხოლო მოგვიანებით, 2010 წელს გამოიცა მეცნიერის მიერ ამ მასალების საფუძველზე მომზადებული „ქართული ფსალმუნის სიმფონია" (მასალები ადრეული ვერსიებისათვის და გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის სიმფონია). ამ წიგნების სახით სამეცნიერო საზოგადოებას მიეწოდა ქართული მწიგნობრული მემკვიდრეობის პირველხარისხოვანი გამოკვლევები, რომელთაც ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის, მაგრამ დავითის უკვდავ საგალობლებზე მუშაობა არც ამით დამთავრებულა. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ცნობილი გახდა ქართული „დავითნის" კიდევ რამდენიმე ახალი ვერსია ათონის მთისა და სინის მთის ხელნაწერთა კოლექციებიდან და ქალბატონი მზექალა დღესაც მუშაობს ამ მასალების შესაჯერებლად საკუთარი კვლევის შედეგებთან და მთელ ამ რედაქციულ მონაცემთა გასამთლიანებლად.**

მზექალა შანიძემ ღირსეულად გააგრძელა ქართული ფილოლოგიის ის ტრადიციები, რომელიც აკადემიურ ტექსტოლოგიასთან, ისტორიული ტექსტების მეცნიერულ დადგენა-გამოცემასთან არის დაკავშირებული და რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი მეცნიერის მამა, აკადემიკოსი აკაკი შანიძე ბრძანდებოდა. გარდა იმისა, რომ ქალბატონმა მზექალა შანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბიბლიური ტექსტების გამოცემასა და კვლევაში, მან ასევე საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი განუმეორებელი ძეგლი, როგორიცაა ანონიმი ავტორის „ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი", და ძალზე ბევრი გააკეთა ამ უძვირფასესი ძეგლის აკადემიური ტექსტის დადგენისა და მისი გამოცემისათვის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე (გამოიცა 1992 წელს).

აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ ასევე კრიტიკულად შეისწავლა და მოამზადა აკადემიური გამოცემისათვის კიდევ ერთი ისტორიული თხზულება – ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი". ამ მნიშვნელოვანი ისტორიული თხზულებების ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე, გარდა აკადემიური ტექსტების დადგენისა, მზექალა შანიძემ მოამზადა არაერთი სანიმუშო კვლევა, ზოგადად, ისტორიული ტექსტების წაკითხვა-ინტერპრეტაციისა და რედაქციული კორექტირების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

მზექალა შანიძის მიერ მომზადებული ეს თხზულებები შევიდა „ქართლის ცხოვრების" თანამედროვე აკადემიურ გამოცემაში, რომელიც აკადემიკოს როინ მეტრეველის მთავარი რედაქტორობით გამოიცა 2008 წელს და რომლისათვისაც წიგნის შემდგენლებმა, მათ შორის, ქალბატონმა მზექალა შანიძემ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურეს. „ქართლის ცხოვრების" ამ სარედაქციო შემადგენლობის მიერ კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან საქმეს დაედგა გვირგვინი – ეს საისტორიო წიგნები მთლიანად ითარგმნა და გამოიცა ინგლისურად და რუსულად, რაშიც (კერძოდ, ზემოთ დასახელებული თხზულებების თარგმნაში) მზექალა შანიძემ შეიტანა თავისი წვლილი. სრულიად ნათელია, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული საისტორიო წყაროების საერთაშორისო არენაზე გატანისათვის.

**ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიის კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მზ. შანიძის მიერ აკადემიურად შესწავლილსა და გამოცემულ გრამატიკულ ტრაქტატს „სიტყუაი ართრონთათვის" (თბ. 1990). ეს ტრაქტატი ერთგვარად ავსებს იმ თეთრ ლაქას, რომელიც, ესოდენ მონოლითური ძველი ქართული მწიგნობრული ტრადიციის ფონზე, წერილობით შემონახული გრამატიკული ნორმების არარსებობას უკავშირდებოდა. კერძოდ, ძველი ქართული სალიტერატურო ენა იმდენად მოწესრიგებულია ნორმატიულად და იმდენად სტაბილურია საუკუნეთა განმავლობაში, ამ ენაზე იმდენად სერიოზული მთარგმნელობითი და ორიგინალური სამწერლობო სკოლებია ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელია ეს ყოველივე საფუძვლიანი გრამატიკული კულტურის გარეშე შექმნილიყო. სწორედ ეს აზრი წარმართავდა იმ მეცნიერის ინტერესს, ვინც ესოდენ ღრმად და ასეთი ზედმიწევნილობით იცნობს მდიდარ ქართულ მწიგნობრულ მემკვიდრეობას, გრამატიკულად განსაკუთრებულად მწყობრ სიტყვიერ კულტურას.**

მკვლევარმა ეს აზრი უეჭველი გახადა პირველი ქართული გრამატიკული ტრაქტატის – „სიტყუაი ართრონთათვის" – გამოცემითა და გამოწვლილვითი შესწავლით. ეს თხზულება, რომელიც ამსახველია XI-XII საუკუნეთა გრამატიკული აზროვნებისა საქართველოში, მეცნიერისათვის დამახასიათებელი სიზუსტით, სიღრმითა და სისრულით არის გამოკვლეული როგორც სტრუქტურულად და შინაარსობრივად, ისე ენობრივ-სტილისტიკურად, განსაკუთრებით კი – სისტემის აღმწერ ცნებათა, ტერმინოლოგიურ ერთეულთა თვალსაზრისით. მეცნიერის დამაჯერებელი ვარაუდით, ეს ტრაქტატი ეფრემ მცირის ლიტერატურულ-მთარგმნელობით სკოლაში არსებულ გრამატიკულ ცოდნას უნდა უკავშირდებოდეს.

როგორც თვით ტრაქტატს, ისე ამ აკადემიურ გამოკვლევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, საზოგადოდ, ქართული მეცნიერული აზრის ისტორიისათვის.

აკად. მზექალა შანიძის, როგორც ქართული ენის მკვლევრის, სამეცნიერო ინტერესები თემების, პრობლემების ფართო წრეს მოიცავს. პირველ რიგში ეს არის ისტორიული ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხები ძველი და გარდამავალი პერიოდის ქართულის ენობრივი მონაცემების მოხედვით. ამ რიგის ნაშრომებს ეკუთვნის: „ჰაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის ერთ სინურ ხალნაწერში" (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959); „ებრაული ანბანის გადმოცემის შემთხვევები ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერებში" (ენათმეცნ. ინსტ. შრომები, II, 1957); „გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში" (სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956); „რომელ ნაცვალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის ძველ ქართულში" (სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერის ინტერესები უმთავრესად ძველი ქართული ენობრივი სამყაროსაკენ არის მიმართული, მას თავისი ყურადღება არც საშუალი და ახალი ქართულის უმნიშვნელოვანესი მოვლენებისათვის მოუკლია. ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერი მუდმივად ადევნებს თვალს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხებს და საზოგადოებას სთავაზობს ნორმატიულ რეკომენდაციებს ღრმა ისტორიზმისა და ფართო თეორიული თვალთახედვის საფუძველზე; ამიტომაც მისი წინადადებები ამ სფეროში ყოველთვის საფუძვლიანია და ანგარიშგასაწევი; მაგალითად, ასეთი აკადემიური სტატიებია: „ი" ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ქართულში" (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XI, 1998); „ი" ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში" (თსუ გიორგი ახვლედიანს, თბ., 1969)...

**ნიშანდობლივია, რომ სწორედ ქალბატონი მზექალა ხელმძღვანელობს ქართული სახელმწიფო ენის კომისიას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში.**

განსაკუთრებული ინტერესითა და პოპულარობით სარგებლობს მზექალა შანიძის ლექსიკოლოგიური, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიებანი. საყოველთაოდ არის ცნობილი მისი ცალკეული სტატიები; მაგალითად: „სილოდა და მელოდარი ქართულში" (მაცნე, 1964); „ნეზვის ეტიმოლოგიისათვის" (ორიონი, 1967); „ნადი და მამითადი" (ძვ. ქართ. ენის კათედრ. შრ. №23, 1980); „სორექ სიტყვა „აბდულმესიანში" (თსუ შრ. №170, 1971); „თირკუმელ სიტყვა ქართულში" (კრ. „ვარლამ თოფურია – 100", 2001); „დაჰმანი" („დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა", თბ., 2012) და სხვ.

სრულიად განსაკუთრებულია მზექალა შანიძის ღვაწლი – როგორც პედაგოგისა, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ორგანიზატორისა; მის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გაკვეთილებზე მთელი თაობები აღიზარდნენ. მიუხედავად მეცნიერული და აკადემიური საქმიანობით ესოდენი დატვირთულობისა, ქალბატონ მზექალას არც საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მოუკლია თავისი ყურადღება. ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა საქართველოს ქალთა საზოგადოებაში, საქართველოს უზენაეს საბჭოში; იგი ერთ-ერთი ხელმომწერია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტისა 1991 წლის 9 აპრილს.

**დასასრულ უნდა ითქვას, რომ გამოჩენილი მკვლევარი კვლავაც აქტიურად არის ჩაბმული ქვეყნის მეცნიერულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი სამეცნიერო აქტივობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სწორედ მკვლევრის შემოქმედებითი ცხოვრების უახლეს პერიოდს ეკუთვნის. იგი ათწლეულების განმავლობაში, მათ შორის ქვეყნის უმძიმეს პერიოდებში, საუკეთესოდ განასახიერებდა ქართველი ქალის მოქალაქეობრივსა და მამულიშვილურ სახეს, საკუთარი მტკიცე სიტყვითა და საქმით ყოველთვის საუკეთესოდ წარმოაჩენდა დედაუნივერსიტეტის, ქართული აკადემიური საზოგადოების, უფრო ზოგადად კი – მთელი ქვეყნის ღირსებას.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თავისი თითოეული წევრის სახელით, გულითადად ულოცავს ქალბატონ მზექალას ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს დღეგრძელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ქვეყნისა და მომავლის საკეთილდღეოდ.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება**

**ამ წერილის დასათაურება შემთხვევით არ მომსვლია გონებაში, პირიქით, სხვანაირად რომ მეფიქრა, იმის უფლებაც არა მაქვს... არც მინდა სათქმელი ძალიან გამიგრძელდეს და მკითხველს თავი მოვაბეზრო, ისედაც არსებული რეალობის, მსოფლიოს გამოწვევის დროს, რამაც თითქმის ერთი წელია მოიცვა სამყარო... მაგრამ ყოველივე იმის მიჩქმალვა და ყურადღების მიღმა დატოვება, რაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ხდება, რუსლან პირველი (აბაშიძის) ანუ იგივე რიჩარდ მესამის „მეფობის“ პერიოდში, ნამდვილად შეუძლებელია...**

# რუსლან პირველი, ანუ იგივე რიჩარდ მესამე თანამედროვე საქართველოს რეალობაში

## ღია წერილი მმართველ პარტიას, ქვეყნის მთავრობას, პარლამენტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს



### დევნილი მთავრობის ხარბი თავკაცი

ვინმეს რომ ეთქვა ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში, იქნება ეს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლება, ისეთი რამ შეიძლება მოხდეს, რაც ხდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში და თავად არ გამომეცადა და გადამეტანა ის გადასატანი, რაც ზუსტად წელიწადნახევრის განმავლობაში გადავიტანე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის მინისტრის მოადგილის პოზიციაზე ყოფნის დროს, ვიფიქრებდი, რაღაც ჭორთან, რაღაც ყურით მოთრეულ და რაღაც ტყუილ-მართლის ერთმანეთში არეულ ინფორმაციასთან გვაქვს-მეთქი საქმე.

ახალ გლობალურ გარემოში, რომლის სცენაზეც სურს გამოსვლა დამოუკიდებელ საქართველოს, მით უმეტეს, რომ ოკუპირებულია ქვეყნის ისეთი მნიშვნელოვანი ორი ნაწილი, როგორიც აფხაზეთი და სამაჩაბლოა, მოითხოვს რადიკალურად განსხვავებულ ქცევას და მენტალურ განწყობას. ეს თანაბარი ზომით ეხება, როგორც პიროვნებებს, ასევე ორგანიზაციებსაც და მთავრობასაც.

ყოველი პიროვნება, მით უმეტეს, თუ ის, სახელმწიფო სამსახურშია და ეს სამსახური წარმოადგენს დევნილ მთავრობას, ვალდებულია იყოს ისეთი ნიშან-თვისების, უნარ-ჩვევების მატარებელი (გამოცდილების მქონე), რომელსაც ექნება სურვილი, უნარი და მიგნება რეალურად ეროვნული და ადამიანური საქმის კეთებისა... მაგრამ, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებებისგან ძალიან შორს ხარ და ვერც წარმოგიდგენია, რომ სახელმწიფო სამსახურში ყოფნა შენი ერისა და ქვეყნის მსახურებას გავალდებულებს და თვლი, რომ, პირიქით, შენ ხარ მთავრობის თავმჯდომარე (მით უმეტეს, დევნილი მთავრობის)... და შენ ხარ ბატონი, პატრონი, მესაკუთრე, მბრძანებელი ერისა და ქვეყნისა... და შენ პირად კეთილდღეობას, გართობას, ხუშტურებს, უზნეობას, სიხარბეს უნდა მოხმარდეს ყველაფერი, რაც რეალურად სახელმწიფო საკუთრებაშია და რისი მესაკუთრეც დევნილი მოსახლეობა უნდა იყოს... და თავი მართლაც რიჩარდ მესამე გგონია, რაზე უნდა ვილაპარაკოთ და რაზე უნდა ვიოცნებოთ... ასეთი ხელისუფლების შემყურე, დევნილებს ოცნებაც კი ეკრძალებათ, რომ როდესმე მათ კუთხეს დაუბრუნდნენ, მათი სახლის ჭიშკარი გააღონ და ადგილის დედას მოეფერონ...

აქსიომაა, რომ მთავრობა არ არის მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარე, მთავრობა არის მთელი მინისტრთა კაბინეტი, მაგრამ რუსლან აბაშიძისთვის ეს ყოვლად გაუგებარი და გაუთვალისწინებელი რამაა. საკმარისია, მას მიაწოდო რამე აზრი, შეეკამათო, მიუთითო, რა არის სწორი და რამ შეიძლება ჩიხში შეიყვანოს მთავრობის (მით უმეტეს დევნილი მთავრობის) მუშაობა, მაშინვე მიუღებელი და მტერი ხდები. მთავარია, იყოს ისე, როგორც მას აწყობს, მისი სურვილი კი ყოველთვის მის პირად კეთილდღეობაზეა მორგებული, რომელიც სახელმწიფო (დევნილი მოსახლეობის) ინტერესებიდან ძალიან შორსაა...

კონკრეტულად ჩვენი სამინისტროს შემთხვევაში, ძალიან დიდი ბრძოლა გავიარეთ, რათა გადაგვერჩინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სისტემა, იმ ნგრევისა და თავდასხმებისგან, რაც ყოველდღიურად ხორციელდებოდა რუსლან აბაშიძის მხრიდან... მან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოგვიცხადა მას შემდეგ, რაც შექმნა აფხაზეთის კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის სააგენტო, რომლის საქმიანობის სფერო, პირდაპირ შედის მისივე ზედამხედველი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროს კომპეტენციაში. სააგენტოს შექმნამ წარმოქმნა პრობლემა, რომელიც გამოიხატა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დაკნინებაში, სამინისტროს დაფინანსების შემცირებაში. ასეთმა მდგომარეობამ გაზარდა რისკი, რომ მნიშვნელოვანი ამოცანების და დასახული მიზნების მისაღწევად (რაც უშუალოდ სამინისტრომ უნდა განახორციელოს), დელეგირებული ფუნქციები სააგენტოს და სამინისტროს პასუხისმგებლობებს შორის „გაიფანტებოდა“, ან მათ ექნებოდათ არამკაფიო საზღვრები ერთმანეთთან, რაც პასუხისმგებლობების და იურისდიქციების გადაფარვას გამოიწვევდა... დებულების მიხედვით სამინისტროს უშუალოდ ევალებოდა ზემოთ ხსენებული სააგენტოს მაკონტროლებელი ფუნქცია, მაგრამ... სააგენტოს დირექტორად დაინიშნა მოდელი, ვინმე ლიკა კვარაცხელია (რომელიც რუსლან აბაშიძის მეუღლის, მოდელ თაკო ჩხეიძის უახლოესი მეგობარი და ამავე დროს ფეხბურთელ მურთაზ შელიას მეუღლეა)...

მინისტრიც და მისი მოადგილეებიც ვცდილობდით, რომ რაღაცნაირად სწორ რელსებზე დაგვეყენებინა სააგენტოს მუშაობა, მაგრამ ვერანაირად ვერ შევძელით ლიკა კვარაცხელიასთან, თუნდაც ადამიანური ურთიერთობის დამყარება. საკმარისი იყო ჩვენი გამოცდილება და საქმიანი საუბარი გვქონოდა ქალბატონ ლიკასთან (რომელსაც არანაირი გამოცდილება სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობისა არ ჰქონდა და არც სურვილი არ გასჩენია, ფუნქციებში გარკვეულიყო), მაშინვე შემოდიოდა ზარი რუსლან აბაშიძისა, მინისტრთან ან მინისტრის რომელიმე მოადგილესთან, ვალდებული ვიყავით გვესმინა მისი მკაცრი ტონით ნათქვამი: **„თავი გაანებეთ მაგ გოგოს, არ არის თქვენი საქმე, ეგ რას გააკეთებს და რას იზამს...“** აშკარად დავდექით დიდი საშიშროების წინაშე, თუ როგორ წარიმართებოდა სამინისტროს შემდგომი მუშაობა. მივედით გადაწყვეტილებამდე, წერილობით მიგვემართა მთავრობის თავმჯდომარისთვის და ზემოთ ხსენებული სააგენტოს საქმიანობის „ეფექტურობასა და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე ზედამხედველობა დაეკისროს აფხაზეთის მთავრობის აპარატს“... წერილს ოფიციალურად ხელს აწერდა მინისტრის პირველი მოადგილე, ირაკლი გელენავა (რომელიც იმ ეტაპზე მინისტრის მოვალეობას ასრულებდა). წერილი მთავრობაში შევიდა 15.07.2020წ. იმ დღეებში რუსლან აბაშიძე არ იმყოფებოდა ადგილზე, ის ამ წერილს გაეცნო 2020 წლის 20 ივლისს (ხუთი დღის შემდეგ) და ყოველგვარი გასაუბრების და საკითხის განხილვის გარეშე, სამინისტროში გამოაგზავნა ბრძანება (№101), სადაც ბრძანებდა, რომ „გათავისუფლდეს ირაკლი გელენავა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან 2020 წლის 20 ივლისიდან“... **(ირაკლი გელენავა გახლავთ ისტორიის დოქტორი, ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი)...**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მოიცავს სულ რამდენიმე სამინიტროს, რომელთა შორის ყველაზე დიდი დატვირთვა და ფუნქცია აქვს განათლების და კულტურის უწყებას... აფხაზეთის ტერიტორიას ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, მიწა ოკუპანტების ხელშია და ის, რითაც ამ ისტორიული კუთხის მყოფადობას ვინარჩუნებთ, ზუსტადაც რომ განათლება და კულტურაა... რუსლან აბაშიძის მოღვაწეობა აფხაზეთის მთავრობაში, სწორედ რომ ამ სისტემის ნგრევით და მიწასთან გასწორებით დაიწყო... მან ბრძოლა და ნგრევა დაუწყო იმ ღირებულებებს, რითაც ენგურგამოღმა საქართველო დღემდე ინარჩუნებს ჩვენი ქვეყნის ამ ულამაზესი კუთხის სულიერ საგანძურს... როგორც კი ლიკა კვარაცხელიას ზემოთ ხსენებული სააგენტო ჩაბარდა (რომელიც სახელმწიფო სისტემას კი არა, რუსლანის ოჯახურ ყულაბას უფრო წარმოადგენს), მაშინვე დაიბარა რუსლანმა მინისტრი, როლანდ ნიჟარაძე და უპირველესად მოსთხოვა ორი ისტორიული მნიშვნელობის, სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „რიწის“ და აფხაზეთის ლიტერატორთა საყმაწვილო ჟურნალ „იალქანის“ გაუქმება (რომელთა გამოცემაც სააგენტოს დაქვემდებარებაშია).

ცხადია, მინისტრს ჰქონდა ძალიან მწვავე რეაქცია. დიდი წინააღმდეგობა გაუწია რუსლან აბაშიძეს, რომელსაც სამოდელო ჟურნალ „ნარგიზით“ უნდოდა ამ ორი ისტორიული ჟურნალის ჩანაცვლება და, მისდა სამწუხაროდ, არ მიეცა საშუალება, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გამოეცა ჟურნალი „ნარგიზი“, რომლის მეპატრონეებიც საქართველოში მოდელები – თაკო ჩხეიძე (რუსლან აბაშიძის მეუღლე) და ლიკა კვარაცხელია არიან... ამ ფაქტს მოჰყვა ძალიან მწვავე რეაქცია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მხრიდან. პირადად მე დამიბარეს განათლების და კულტურის კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი **ნუგზარ მგალობლიშვილი** ხელმძღვანელობდა. ბატონ ნუგზარ მგალობლიშვილს ვინც იცნობს, არ გაუკვირდება მისი ბუნებრივი და მართალი რეაქცია იმ უზნეობის მიმართ, რისი ჩადენაც მთავრობის თავმჯდომარეს უნდოდა, გაეუქმებინა ისტორიული ჟურნალები „რიწა“ და „იალქანი“ და მათ ნაცვლად (ბიუჯეტის ხარჯზე), მისი ოჯახის კერძო ჟურნალი „ნარგიზი“ გამოეცა...

ამავე დროს, სამინისტროსთან და კომიტეტთან შეთანხმების გარეშე, მთელი რიგი პროგრამები და პროექტები, რომელსაც სამინისტრო ახორციელებდა, უნდა გადასცემოდა ლიკა კვარაცხელიას სააგენტოს, რომლის დირექტორსაც არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რას წარმოადგენდა და როგორ უნდა განეხორციელებინა ის დატვირთვა, რაც მას, ნებით თუ უნებლიეთ, რუსლან პირველის, ანუ იგივე რიჩარდ მესამის ბრძანებით დაეკისრა. ჟურნალების და პროექტების შენარჩუნებისთვის, პირადად მე მომიწია ჩემი პოზიციის დადასტურება კომიტეტის სხდომაზე (ოქმში შეტანით), რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მზად ვიყავი დამეტოვებინა მინისტრის მოადგილის პოზიცია, თუკი ეს ორი ისტორიული ჟურნალი გაქრებოდა ჩემი ქვეყნის რეალობიდან... მინისტრი როლანდ ნიჟარაძე, რომელიც არის ისტორიის და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ერთ-ერთი უძლიერესი ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში (რომელმაც მართლაც გამოწვლილვით იცის აფხაზეთი და მთელი საქართველო), რომელიც დღემდე თავგამოდებით იბრძვის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენისთვის და ჩვენი ამ ისტორიული კუთხის, არა ცხელი დამანგრეველი ომით, არამედ მენტალური რევოლუციის გზით დაბრუნებისთვის, მასთან ერთად ჩვენც, მისი მოადგილეები (მისი გუნდი) სამინისტროში მუშაობის დროს, თავგამოდებით ვიბრძოდით იმისთვის, რომ შეგვენარჩუნებინა ყველა ის ღირებულება, რითაც დღემდე არსებობდა და არსებობს ქართულ-აფხაზური კულტურისა და განათლების განვითარების საქმე... მიუხედავად იმ მძიმე გარემოსი, რაც პანდემიის პირობებში შეგვექმნა, რასაც ემატებოდა რუსლან აბაშიძის ყოველდღიური, თამამად შეიძლება თქმა, ღიად გამოცხადებული ბრძოლა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიმართ, რაც ძირითადად მიმართული გახლდათ ყველაფერი ღირსეულის და ღირებულის განადგურებისკენ... მას ჩვენ პირდაპირ ყელში გავეჩხირეთ, რათა ხელი შეგვეშალა მისი ისეთი უღირ-

სი საქციელისთვის, რითაც მან ბრძოლა დაუწყო აფხაზეთის ა/რ, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს (ხელმძღვანელი ლევან ღვინჯილია), აფხაზეთის სახელმწიფო კაპელას (ხელმძღვანელი ზვიად ბოლქვაძე) და სხვა შემოქმედებით სსიპებს, რომელიც ძირითადად წარმოადგენს საფუძველთა საფუძველს ქართულ-აფხაზური კულტურის განვითარებაში. ეს გზა ერთადერთი გზაა, რითაც შეიძლება მიმზიდველი გარემოს შექმნა (რეალურად არის კიდეც შექმნილი) ენგურს იქით დარჩენილი ქართველი და აფხაზი მოსახლეობის, მცირე ნაბიჯებით, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული და სულიერი ურთიერთობების აღდგენისა...

**გარდა ზემოთ თქმულისა, რუსლან აბაშიძის ქმედებები ძალიან დიდ, გონივრულ ეჭვს იწვევს, თუ რამდენად იყო და არის მისი ქმედებები ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მიზნებთან თანხვედრაში. ერთ-ერთმა სსიპის დირექტორმა, ვითომდა იუმორით, ისიც კი მითხრა: ქალბატონო ირმა, ხომ ხედავთ რა დღეში ვართ, რუსლან დიდი იგივე ქმედებებს ახორციელებს აქ, დევნილი მოსახლეობის და შემოქმედებითი კოლექტივების მიმართ, რაც თავის დროზე ბაგრამიანის ბატალიონმა აფხაზეთში, ქართველების მიმართ განახორციელა. მის ქცევებს რომ ვუყურებ, ნამდვილად ბაგრამიანის ბატალიონის წარმომადგენელია, რომელიც მუსრს ავლებს ყველაფერს ქართულს და ყველაფერს ეროვნულს.**

ოქტომბრის თვეში (2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში), რუსლანმა მოიწვია მთავრობის სხდომა და მოითხოვა, სასწრაფოდ რეორგანიზაციის განხორციელება სამინისტროებში, თანამშრომელთა მინიმალურ რაოდენობამდე დაყვანა, როგორც სამინისტროებში, ასევე შემოქმედებით სსიპებში... მას წინააღმდეგობა ორმა მინისტრმა გაუწია, ერთ-ერთი გახლდათ როლანდ ნიჟარაძე... უახლოეს პერიოდში მივიღეთ ოფიციალური წერილი (აფხაზეთის მთავრობის 2020 წლის 15 ოქტომბრის სხდომის ოქმი №15), აფხაზეთის მთავრობის აპარატის უფროსის ოთარ გარმელიას ხელმოწერით, სადაც მითითებულია: „სხდომის დასასრულს რუსლან აბაშიძემ, შეაჯამა რა სამინისტროების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები, მთავრობის წევრებს მოუწოდა, ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური რეალობისა და მასთან დაკავშირებით დევნილთა მზარდი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, უფრო მკაფიოდ განსაზღვრონ მათდამი დაქვემდებარებული უწყებების პრიორიტეტები და წარმოადგინონ კონკრეტული პრიორიტეტების ადეკვატური წინადადებები (სტრუქტურული ოპტიმიზაცია) რეორგანიზაციის შესახებ, მიმდინარე წლის 2 ნოემბრამდე“... უნდა ითქვას, რომ რუსლან პირველის მეფობის პერიოდში, აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურებში, არაერთხელ ჩატარდა რეორგანიზაცია, ადვილი მისახვედრია, არჩევნების წინა პერიოდში დევნილი სამინისტროებიდან თანამშრომლების დათხოვნა და ქუჩაში გამოყრა. ვის წისქვილზე უშვებდა წყალს და ვის საქმეს ემსახურებოდა ეს მოთხოვნა... ეს მოთხოვნა არამც და არამც არ იქნებოდა მმართველი ხელისუფლების და მმართველი პარტიის მოწოდება და დავალება. 15 ოქტომბერს იძლევა ბრძანებას, როდესაც 31 ოქტომბერს ქვეყანაში საკანონმდებლო არჩევნებია. რას ნიშნავს ეს, თუ არა მიზანმიმართულ საბოტაჟს მმართველი და მოქმედი ხელისუფლების მიმართ... სამინისტროში გვქონდა არაერთი თათბირი, როგორც თანამშრომლებთან, ასევე შემოქმედებითი სსიპების ხელმძღვანელობასთან, რომლებიც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მთავრობის ხელმძღვანელის მოთხოვნამ... ნაცვლად იმისა, რომ მთავრობამ მთელი რესურსი მიმართოს ისეთი შემოქმედებითი კოლექტივების გაძლიერებისთვის, როგორიც არის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი, სახელმწიფო კაპელა, სოხუმის ორი სახელმწიფო დრამატული თეატრი, პირიქით, ცდილობ დაშალო და დაანგრიო ყველაფერი, რაც დღემდე დევნილმა შემოქმედებითმა კოლექტივმა რუდუნებით მოიტანა?! ბოლოს იქამდე მივიდა რუსლან დიდი, რომ სიტყვიერი ზეწოლით კატეგორიულად თხოულობდა, სამინისტროდან არ გადაგზავნილიყო სახელფასო მოთხოვნა, აფხაზეთის ა/რ-ის სახელმწიფო ანსამბლის შემოქმედებითი ნაწილისთვის... გვიბიძგებდა პირდაპირ კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაკენ, მაგრამ სამინისტრომ მაინც გაგზავნა ფინანსთა სამინისტროში ხელფასების მოთხოვნის წერილი, რომელიც კანონიერად ეკუთვნოდა ანსამბლის მომღერლებსა და მოცეკვავეებს... გარდა ამისა არ დავუკმაყოფილეთ მოთხოვნა, არჩევნების წინა პერიოდში, რეორგანიზაციისა და მისი მოთხოვნის საპასუხოდ გავაგზავნეთ წერილი №01/1072 23.10.2020წ.

„მოგახსენებთ, რომ კოვიდ-19 პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა პროცესებზე, როგორიცაა ეკონომიკა, ჯანმრთელობის, განათლების და კულტურის სისტემაში უმუშევართა გაზრდა და სხვა. პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, აფხაზეთის განათლების და კულტურის სამინისტრო შესაძლებლობების ფარგლებში, მინდობილ სფეროში, სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად განაგრძობს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებით და დასაქმებულთა მინიმალური რაოდენობით. პანდემიის პერიოდში სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, აფხაზეთის მთავრობის 2020 წლის 15 ოქტომბრის სხდომის №15 ოქმის შესაბამისად გპასუხობთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების (სსიპ) სტრუქტურული ოპტიმიზაცია/რეორგანიზაცია ამ ეტაპზე არ იგეგმება“...



**„.. რა ნაძირალა არაკაცი უნდა იყო, რომ 70 წელს მიღწეული დამსახურებული პროფესიონალი ახალი წლის წინა დღეს მოხსნა სამსახურიდან?! რუსლან აბაშიძე გაუნათლებელი, გაყოყოჩებული, ხეპრე, რომელმაც ყველასთვის ცნობილი გზებით მიაღწია თანამდებობას, ბედავს და 30 დეკემბერს წერს ბრძანებას ლევან ღვინჯილიას გათავისუფლებაზე, ადამიანისა, რომელსაც აუწონავი ღვაწლი აქვს გაღებული ქართული ხალხური შემოქმედების განვითარებისთვის“...**

განრისხებულმა რუსლან აბაშიძემ კატეგორიული უარი განაცხადა, ბოლო ორი თვის (ისედაც მიზერული) ხელფასი მილოთ აფხაზეთის ა/რ-ის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავეებს და მომღერლებს. ანსამბლის შემოქმედებითი ნაწილი, საახალწლოდ ულუკმაპუროდ დატოვა... მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის სამართლიანი მოთხოვნები, რაც მის მიმართ ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლევან ღვინჯილიამ წამოაყენა. ამის საპასუხოდ კი მან ბატონი ლევანი გაანთავისუფლა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან. ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა მიმართვა: **„.. რა ნაძირალა არაკაცი უნდა იყო, რომ 70 წელს მიღწეული დამსახურებული პროფესიონალი ახალი წლის წინა დღეს მოხსნა სამსახურიდან?! რუსლან აბაშიძე გაუნათლებელი, გაყოყოჩებული, ხეპრე, რომელმაც ყველასთვის ცნობილი გზებით მიაღწია თანამდებობას, ბედავს და 30 დეკემბერს წერს ბრძანებას ლევან ღვინჯილიას გათავისუფლებაზე, ადამიანისა, რომელსაც აუწონავი ღვაწლი აქვს გაღებული ქართული ხალხური შემოქმედების განვითარებისთვის“...** ეჰ, ბატონო ერეკლე, ეს ღირებულებები, რომ რამეს წარმოადგენდეს ისეთი არსებისათვის (პიროვნებას ვერანაირად ვერ ვუწოდებ), როგორიც რუსლან აბაშიძეა, მაშინ ხომ აფხაზეთის დღევანდელ მთავრობაში ავად თუ კარგად (მეტ-ნაკლებად) ყველაფერს თავისი სახელი ერქმეოდა.

ახალი წლის წინა დღეებში რუსლან პირველმა, იგივე რიჩარდ მესამემ, დაიბარა მინისტრი როლანდ ნიჟარაძე და ულტიმატუმი წაუყენა. მისი გათავისუფლების ბრძანება აუფრიალა და უთხრა: „შენ არ ატარებ იმ პოლიტიკას, რასაც მე გეუბნები. ან სასწრაფოდ მოახდენ რეორგანიზაციას (მისი მოთხოვნით ეს რეორგანიზაცია ნიშნავდა სამინისტროში 5-7 თანამშრომლის დატოვებას), ან ჩემი გუნდის წევრი ვერ იქნებიო... ვინც მოაწერს ხელს ჩემს ბრძანებას, ის შეასრულებს შენს მოვალეობასო“. როლანდის პასუხი ასეთი იყო: „მე ამ საძაგლობას ხელს არ მოვაწერ, ამ საშინელი პანდემიის პირობებში, ახალი წლის წინა დღეებში, ჩემს დევნილ თანამშრომლებს, რომლებიც ღირსეულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, არ გავამწარებ და არ გავწირავო... შენ კი როგორც გინდა ისე მოიქეციო“... ასე დამთავრდა მინისტრისა და თავმჯდომარის ბოლო დიალოგი... მეორე დღეს, სამინისტროში მინისტრის გათავისუფლების ბრძანება მოვიდა, რუსლან პირველის, იგივე რიჩარდ მესამის ხელმოწერით... რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რამდენიმე ადამიანს ჰქონდა შეთავაზება მინისტრის პოსტზე, მაგრამ ამ საძაგლობაზე ხელის მოწერა არ იკადრა, ყველას აინტერესებდა ვინ იქნებოდა რუსლანის ბინძურ თამაშებზე ხელის მომწერი და ეს ხელის მომწერი, ჟურნალისტი **ეკა ხოფერია** აღმოჩნდა, რომელმაც ახალი წელი ასეთი ბრძანებით მიულოცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროს ყველა თანამშრომელს: „31.12.2020 წელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის მინისტრის ბრძანება №44/ფ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროსა და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრებში რეორგანიზაციის დაწყების შესახებ...“ ერთი შეხედვით, შეიძლება თქმა, რომ რა მოხდა, რეორგანიზაციაა, იქნებ უკეთესი სტრუქტურული ერთეული მივიღოთ. ვინც რუსლან აბაშიძეს ავად თუ კარგად იცნობს, დამეთანხმება, რომ ყველა რეორგანიზაცია, რასაც ის მოინდომებს მხოლოდ და მხოლოდ მის პირად მიზნებს ემსახურება... მოდელებით (თაკოს დაქალებით) დაკომპლექტებულმა საკადრო პოლიტიკამ, როგორ შეიძლება ერისა და ქვეყნის სასარგებლო პოლიტიკაზე გაიაროს, ძალიან მარტივი მისახვედრია... შემთხვევითი არა არის, დევნილთა მიერ იუმორით გამონათქვამი აფხაზეთის ა/რ მთავრობაზე, **ეს მთავრობა კი არა, „ჩემი ცოლის დაქალებიაო“...**

ყველაფერთან ერთად საზოგადოების და განსაკუთრებით დევნილი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, სოციალურ ქსელში და არა მხოლოდ სოციალურ ქსელში (სხვადასხვა ტელევიზიებში) გავრცელებულმა საგანგებო ინფორმაციამ: „დავით გარეჯს ყიდიან?! პროკურატურამ დავით გარეჯის ყოფილი კომისიის წევრების ოფისების ჩხრეკა დაიწყო. პროკურატურის თქმით, უკანონოდ ხდებოდა დავით გარეჯის მიწების მიყიდვა აზერბაიჯანისთვის. ამ კომისიის ერთ-ერთი წევრი გახლდათ რუსლან აბაშიძე, რომელსაც (ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტიდან) საერთოდ არ ახსოვს ამ კომისიის წევრი იყო თუ არა. აი, რას ამბობს ამ ფაქტზე აფხაზეთის ახალგაზრდული საზოგადოება: **„უბრალოდ წარმოვიდგინოთ, ქვეყნის მიზნების ინტერესების დაცვის კომისიის წევრი ხარ, შენი ისტორიული ტაძარი, რომელმაც ომებს გაუძლო და შენ სახელმწიფომ ამის დაცვა დაგავალა და შენ არც კი გახსოვს ამ კომისიაში იყავი თუ არა. ჯერ დამოკიდებულებას დააკვირდით... ამ გარიგებაში აბაშიძე მონაწილეობდა!“ ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში, გმირთა მემორიალთან კი საერთოდ აფხაზეთის ომი ქართველებს დაგვაბრალა და უგუნურები გვეძახა. ამ ფაქტზეც აფხაზეთის ახალგაზრდული ორგანიზაცია ასეთ მიმართვას ავრცელებს: „აქეთ დავით გარეჯის თემაში კაცმა არ იცის, რას აკეთებდა, წარმოგიდგენიათ ეს ადამიანი აფხაზეთის მთავრობას ხელმძღვანელობს და აქ რას გააკეთებს. ხვალ რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობას მოაწეროს ხელი, არ გაგიკვირდეთ. ასეთი მოღალატეები უნდა მოშორდნენ პოლიტიკიდან! სასწრაფოდ უნდა გადადგეს!“**

სამწუხაროდ, რუსლან აბაშიძეს ახალგაზრდობის მოწოდება - „უნდა გადადგეს!“ სასაცილოდ არ ჰყოფნის და არც ეყოფა, ეს რომ ასე მოხდეს, მაშინ ხომ ის რუსლანი არ იქნება. ის ქმედებები, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ, ვისაც რუსლან აბაშიძესთან და მის ოჯახურ კლანთან შეხება ჰქონია, დამეთანხმება, რომ მხოლოდ და მხოლოდ მისი პირადი მიზნების გარშემო ტრიალებს. მას არ სურს დამსახურებული, თუნდაც მიზერული ხელფასები მისცეს აფხაზეთის სტრუქტურებში დასაქმებულ ნებისმიერ ადამიანს, თუკი ეს მისი პირადი მიზნის საგანი არ იქნება...

საქართველო არ არის დიდი ქვეყანა, მით უმეტეს, დევნილები კარგად იცნობენ ერთმანეთს... დევნილთა უმრავლესობისგან ასეთი ხმები მოგვივიდა და მოგვდის, რომ „რუსლანს თურმე დიდი ვალები აქვს, სხვა გამოსავალი არა აქვს, რა ქნას ზოგ მოვალეს მინისტრად დანიშნავს, ზოგსაც სააგენტოს დირექტორად, რაღაცნაირად ხომ უნდა გაისტუმროს ბიჭმა ვალები“... ეს თუ მართლა ასეა, წარმოიდგინეთ, რა სავალალო მდგომარეობაში ვართ.

არაფერს ვამბობ მის მიერ ბიუჯეტის თანხების განკარგვაზე, ეს ფინანსისტების საქმეა და მათთვის მიმინდვია. თუმცა დიდი კლასიკოსი მწერლის სიტყვები მინდა გავიხსენო **„სახელმწიფო მეწველი ძროხა არ არის“**. ბიუჯეტის თანხები არავის საკუთრება არ არის, რომ ამ თანხებით და პოზიციების, თანამდებობების ნაცნობ-მეგობრებზე ჩამორიგებით პირადი ვალები ვისტუმროთ... როგორც წერილის დასაწყისში ვამბობ, პირადად მე რომ არ აღმოვჩენილიყავი ამ ქმედებების ცენტრში, ვიფიქრებდი ყველაფერი ჭორი და ბოროტად გავრცელებული ხმებია-მეთქი...

ჩემი მოსაზრება აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, ბატონ ჯემალ გამახარიასთან და ბატონ ნუგზარ მგალობლიშვილთან საგანგებო შეხვედრის დროს ხმამაღლა დავადასტურე: „სამწუხაროდ, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარის, რუსლან აბაშიძის ქმედებები არის ანტისახელმწიფოებრივი, ანტიკონსტიტუციური, ანტიეროვნული და ანტიადამიანური!“

**დაბოლოს, მინდა, მივმართო საქართველოს საკანონმდებლო და ცენტრალურ ხელისუფლებას, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს: თუ რუსლან აბაშიძის ბოგინი კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელდეს, ჩემი ერისა და ქვეყნის ისტორიაში, მაშინ მე ქვეყანა მართლა აღარ მქონია!.. არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ქვეყანა რუსლან პირველის, ანუ თანამედროვე რიჩარდ მესამის საბოგინოა... მინდა, ვიწამო და მჯეროდეს, რომ ეს ილიას, აკაკის, ზვიადის, მერაბის საქართველოა... მინდა მჯეროდეს, რომ ეს ჩემი ქვეყანაა, ჩემი სამშობლოა, ჩემი საქართველოა!..**



**ირმა კეკელიძე,**
**მწერალი, აკაკი წერეთლისა და ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიების ლაურეატი.**

# ნდობით, სიყვარულით სავსე ქართული გაზეთი სომხურად...


ՇՆՈՐՀԱՎՈՐ ՆՈՐ ՏԱՐԻ ԵՎ ՍՈՒՐԲ ԾՆՈՒՆԴ
ԹՈՂ 2021-Ը ԼԻՆԻ ԱՌՈՂՋՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՀԱՋՈՂՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՏԱՐԻ
ՎՐԱՍՏԱՆ
«ՎՐԱՍՏԱՆ» 100 ՏԱՐԵԿԱՆ Է

## „ვრასტანი“ 100 წლისაა

**ამ დღეებში საქართველოს სომხურენოვან გაზეთ „ვრასტანს“ („საქართველო“) დაარსებიდან ასი წელი შეუსრულდა, რაც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს როგორც მისი რედაქციისათვის, ისე ჩვენი ქვეყნის სომხური საზოგადოებისა და მთლიანად საქართველოსთვის.**

უკვე საუკუნე გვაშორებს 1920 წლის დეკემბერს, როცა საქართველოში სომხურენოვანი გაზეთ „ვრასტანის“ გამოცემა დაიწყო. იმ დროს არავინ იცოდა, რა პერსპექტივა ექნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პრესის კიდევ ერთ წარმომადგენელს, თუმცა იყო მტკიცე ნება იმისა, რომ გაზეთი დაეხმარებოდა ქვეყნის სომხურენოვან მოქალაქეებს ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში, საინფორმაციო უზრუნველყოფასა და ინტელექტუალურ განვითარებაში.

ძნელია, დღეს მსოფლიოში მოძებნო ქვეყანა, სადაც ეთნიკური უმცირესობისთვის გაზეთი ისეთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ როლს ასრულებდეს, როგორსაც ის ახორციელებს საქართველოში. „ვრასტანი“ საქართველოში მცხოვრები სომხებისთვის, რომელნიც ჯერჯერობით ვერ ფლობენ სახელმწიფო, ქართულ ენას, ერთგვარი გზამკვლევია, ეხმარება მათ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, საქართველოს ინტერესების დაცვაში, თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებების რეალიზებასა და ვალდებულებების შესრულებაში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ვრასტანმა“ თავისი საუკუნოვანი არსებობის მანძილზე დიდი როლი შეასრულა როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის, ისე საქართველო-სომხეთის ურთიერთობების განმტკიცებასა და ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის გაღრმავების საქმეში. „ვრასტანი“ თავის მკითხველს შთააგონებს სიყვარულს, პატივისცემასა და ერთგულებას მშობელი ქვეყნის – საქართველოს მიმართ, რითაც უფრო მეტად უწყობს ხელს ისტორიულად მონათესავე და მოძმე ორი ერის მეგობრობასა და თანამშრომლობას.

„ვრასტანი“თავისი არსითა და მოწოდებით საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობისთვის განკუთვნილ გამოცემას წარმოადგენს აზერბაიჯანულ „გურჯისტანთან“ („საქართველო“) ერთად. აღსანიშნავია, რომ ორივე გაზეთის რედაქციებს, „ვრასტანისა“ და „გურჯისტანის“ ჟურნალისტებს ერთმანეთთან მრავალწლიანი კეთილი დამოკიდებულება აკავშირებთ. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ მკითხველისადმი ზუსტი, ობიექტური და აწონილ-დაწონილი ინფორმაციის მიწოდების საქმეში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ამ ურთულეს დროს. ისინი ერთად ცდილობენ მრავალეროვანი საქართველოს სტაბილურობის განმტკიცებას. ეს ფაქტიც საქართველოსთვის დამახასიათებელი უნიკალური რეალობის დადასტურებაა. თავისი ასწლიანი არსებობის მანძილზე და დღესაც „ვრასტანი“ პატივისცემის გრძნობას უნერგავს საქართველოს სომხურენოვან მკითხველს ქართული სახელმწიფოსადმი, ქართველი ხალხისადმი და იღვწის მათი ქართველ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

გაზეთი „ვრასტანი“ ერთგვარი ხიდია საქართველოსა და სომხეთს შორის. იგი უზრუნველყოფს კომუნიკაციას ორი მეზობელი ქვეყნის მასმედიის წარმომადგენლებს შორის. „ვრასტანის“ წარმატებული საქმიანობა და გაზეთის პოპულარობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი მთავარი რედაქტორის **ვან ბაიბურთის** სახელთან. ბატონი ვანი რედაქციას თითქმის 35 წელია, ხელმძღვანელობს. იგი მდიდარი გამოცდილების მქონე პროფესიონალი ჟურნალისტია, რომლის ძირითად კრედოს ქართული სახელმწიფოსადმი სამსახური, საქართველოს სომხურენოვანი მოქალაქეების ინფორმაციული უზრუნველყოფა და მათი ქართველ საზოგადოებაში ინტეგრირება წარმოადგენს.

გაზეთ „ვრასტანს“ იუბილე უკვე მიულოცეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, პოლიტიკურმა და რელიგიურმა ლიდერებმა და ქართული და სომხური საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას მქონდა პატივი, მიმელოცა გაზეთ „ვრასტანისთვის“ 60 წლის იუბილე. დღეს კი მას სიამოვნებით ვულოცავ დაარსებიდან ას წელს. მართლაც რომ ფასდაუდებელია გაზეთ „ვრასტანის“ როლი ქართულ-სომხური ურთიერთობების გამყარებისა და ჩვენს ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. მარად ახალგაზრდა გაზეთმა არა ერთხელ დაარწმუნა თავისი ერთგული მკითხველი, რომ ქართველ და სომეხ ერებს შორის ურთიერთსიყვარულს, ერთმანეთის ნდობას, ერთმანეთის გვერდში დგომას, ურთიერთპატივისცემასა და ერთმანეთის გატანას ალტერნატივა არა აქვს.

**ნინო აფციაური,**

**არმენოლოგი, ისტორიის აკადემიური დოქტორი, თსუ მეცნიერ-თანამშრომელი, 2003-2019 წლებში სომხეთში საქართველოს საელჩოს მრჩეველი.**



**რედაქციისგან: „საქართველოს რესპუბლიკა“ გულითადად ულოცავს საუკუნოვანი სომხური „საქართველოს“ („ვრასტანის“) რედაქციას სახელოვან იუბილეს და ორი უძველესი ერის დღევანდელ შთამომავლებს მშვიდობიან, მეგობრულ, ნდობით სავსე ურთიერთობას უსურვებს.**

# იშვიათი საჩუქარი ენათმეცნიერებს

**ენათმეცნიერებმა, ეთნოგრაფებმა და ქართველური ენების (!) შესწავლით დაინტერესებულმა პირებმა მეტად საინტერესო ლექსიკონი შეიძინეს გამომცემლობა „არტანუჯის“ საშუალებით. ეს გახლავთ „ქართულ-მეგრული ლექსიკონი“, რომელიც პირველად გამოიცა.**

როგორც ამ სოლიდური, ათას ას გვერდამდე გამოცემული ლექსიკონის რედაქტორების წინასიტყვაობიდან ვგებულობთ (რედაქტორები **ნონა** და **ნანა ქობალიები**), ამგვარი ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის საკითხი ას წელზე მეტია, მწვავედ დგას. გასული საუკუნის დასაწყისიდან დღემდე გამოცემულია შვიდი ავტორის, მათ შორის, თვალსაჩინო ქართველი ენათმეცნიერების – **იოსებ ყიფშიძის, პეტრე ჭარაიას, გივი ელიავას, ოთარ ქაჯაიას, ალიო ქობალიას** და სხვათა მეგრულ-ქართული ლექსიკონები, მაგრამ ქართულ-მეგრული ლექსიკონი ჯერ არ გამოცემულა.




ძალიან დიდია თანამედროვეობაში ინტერესი მეგრული სამყაროსადმი, როგორც ენობრივი, ისე მსოფლმხედველობრივი და პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით. ამ გამოცემით კი ნაწილობრივ მოგვარდება მეგრული ენის შემსწავლელთა და ამ ენით დაინტერესებულ მეცნიერთა პრობლემები.

ამ შესანიშნავი ლექსიკონის შემდგენელი გახლავთ ბატონი **ალიო ქობალია,** რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო თავისი ჩანაწერებისთვის დასრულებული ფორმის მიცემა, რაც სრულყოფილად გამოსაცემად მისმა შვილებმა, ქალბატონმა ნანა და ნონა ქობალიებმა ითავეს. ლექსიკონში მათ შეიტანეს გარკვეული ნაწილი ბატონი ალიოს მიერ სხვადასხვა დროის ჩანაწერებისა, კერძოდ, მის მიერ გამოუცემელი კოსმოგენური, მითოლოგიური ნაშრომები, ტოპონიმური, დარგობრივი, ეთნოგრაფიული ლექსიკონებიდან და მისი პოეტური მეგრული ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი მასალა.

საყურადღებოა, რომ „ქართულ-მეგრულ ლექსიკონში“ შეტანილი სიტყვების უდიდესი ნაწილი, ძირითადად, აფხაზეთში და სამეგრელოში მოძიებულ საველე მასალებს ეფუძნება, აქვეა ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებში მოყვანილი ენათმეცნიერთა მიერ დამოწმებული და გაანალიზებული კოლხიზმები, აფხაზურ ენაში მეგრული ენიდან შესული სიტყვების უკუნასესხობები, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, ქართული ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის, აგრეთვე სახარების უძველესი თარგმანები.

ლექსიკონის საცნობარო ღირებულებას ზრდის ის ფაქტი, რომ იგი შეიცავს მნიშვნელოვან ეთნოლოგიურ ინფორმაციას, სხვადასხვა სახალხო თუ მეგრელთა წეს-ჩვეულებებთან და რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებულ ცნებებს, მითიურ სამყაროს, კულტურის ტერმინოლოგიას, სიტყვებს მიღმა არსებულ მითოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ასპექტებს.

ამ ლექსიკონის ძირითად ბაზას წარმოადგენს ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“, რომელიც „არტანუჯმა“ ათი წლის წინათ გამოსცა.

ლექსიკონის გამოცემა კიდევ დიდხანს ვერ მოხერხდებოდა, რომ არა საქველმოქმედო ფონდ **„ხარებას“** ფინანსური და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის **ალექსანდრე მოწერელიას,** აგრეთვე ორგანიზაცია „ათინათის“ ხელმძღვანელობის **რუსუდან ყალიჩავასა** და **გივი ხასიას** გულისხმიერება და დაინტერესება.

**ცოტა რამ ამ უნიკალური ლექსიკონის ავტორზე:** ალიო ქობალია 1927 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლექობალეში დაიბადა. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ოჩამჩირეში. გამოცემული აქვს რამდენიმე პოეტური კრებული. მისი გარდაცვალების შემდეგ (2006 წ.) გამოიცა „მეგრული ლექსიკონი“. შედგენილია ტოპონიმიკური, ონომასტიკური, ეტიმოლოგიური და ფრაზეოლოგიური ნაშრომები.

„ქართულ-მეგრული ლექსიკონი“ შეიცავს ასი ათასამდე სიტყვას. ლექსიკონი არამეგრულენოვან და მეგრულენოვან მკითხველს საშუალებას აძლევს ადვილად მოიძიოს სასურველი ქართული სიტყვის მეგრული თარგმანი.

ეს მართლაც უნიკალური ნაშრომი ხელს შეუწყობს სრულიად საქართველოს სულიერი ფასეულობის დაცვის საქმეს, რამდენადაც ქართველური ენები თავისი სიღრმითა და იშვიათობით უმთავრესი ეროვნული ფასეულობაა.

**მამუკა ვაშაკიძე**

# მინისერიალი ორუელის მიხედვით

**კომპანია Wiip ჯორჯ ორუელის ცნობილი რომანის „1984“ მოტივებზე სერიალს გადაიღებს. სერიალი არა რომანის, არამედ მასზე დაფუძნებული პიესის ადაპტაცია იქნება, რომელიც 2013 წელს რობერტ აიკმა და დუნკან მაკმილანმა დადგეს. სერიალში 5 ეპიზოდი იქნება. პროექტის შოურანერი დევიდ ფლინი იქნება, მაიკლანი და აიკი კი პროდიუსერები იქნებიან. სერიალის პრემიერის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.**



რომანის სიუჟეტის მიხედვით, საზოგადოება დიდი ძმის დიქტატურის ქვეშ იმყოფება, რომელიც აბსოლუტური ძალაუფლების შენარჩუნებას და ქვეყნის ყველა მცხოვრების გაკონტროლებას ცდილობს. თუმცა, ასეთ რეჟიმს ყველა არ ეთანხმება, მათ შორის მთავარი გმირი უინსტონ სმიტი.

კრიტიკოსების ნაწილმა რომანზე დაფუძნებულ პიესას წამების სცენებისა და ჭარბი ვიზუალური და აუდიოეფექტების გამო „შოკისმომგვრელი“ უწოდა.

# ერმა თავი უნდა გადაირჩინოს და გამრავლდეს და არა, ძაღლებს გადაჰყვეს!



### ძაღლები და დროის ბიუჯეტი

**ადამიანის დროის ბიუჯეტი (24 საათი) სამუშაო და არასამუშაო დროისაგან შედგება. ეს დრო დაახლოებით ასე ნაწილდება: სამუშაო დრო უშუალოდ მუშაობისა (8 საათი) და მასთან დაკავშირებული (სახლიდან სამუშაო ადგილზე მისვლა და უკან დაბრუნება) დროისგან შედგება, რომელიც დაახლოებით 1,5 საათს უდრის.**

არასამუშაო დრო ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დახარჯული დროის (ძილი, დაბანა, კვება — 9 საათი), საოჯახო მეურნეობის მართვისთვის გაწეული დროისა (ოთახების დალაგება, რეცხვა, პროდუქტების შეძენა, საჭმლის მომზადება და სხვ. — 3 საათი) და თავისუფალი დროისგან (2,5 საათი) შედგება. თავისუფალი დროის გარდა, ძირითადად არცერთ სხვა დროში ადამიანის განვითარება, მისი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი არ ხდება და ხშირად ეს დროც მთლიანად ძაღლების მოვლასა და გასეირნებას ხმარდება. ადამიანი იკეტება თავის თავში, ხდება აგრესიული და გარე სამყაროს მოწყვეტილი. საკმარისია ძაღლის პატრონს მისცე შენიშვნა, თუ რატომ არ უკეთია მის ძაღლს ალიკაპი, ან რატომ არ იღებს ქუჩაში საკუთარი ძაღლის მოსაქმებულს, რომ უმეტეს შემთხვევაში აგრესიულ პასუხს მიიღებთ.

თავისუფალი დრო ფართო სფეროა ადამიანის მრავალმხრივი მოქმედებისთვის და იგი რაიმე ჩარჩოში ვერ თავსდება, ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ თავისუფალ დროში ადამიანის საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს მისი ნიჭისა და უნარის ყოველმხრივ გამოვლენასა და განვითარებას. თავისუფალი დრო ძირითადად უნდა იხარჯებოდეს სწავლასა და თვითგანვითარებაზე, სოციალური ფუნქციების შესრულებაზე, ნათესავ-მეგობრებთან ურთიერთობაზე, ხელოვნების ნაწარმოებთა თუ კულტურული ცხოვრების სხვა სიკეთეთა ზიარებაზე და არა ძაღლების მოვლასა და დილა-საღამოს საკუთარი თუ სხვისი ძაღლების მოსაქმებულის წმენდაზე, რაც ეროვნული ენერგიის უბრალო უაზრო ფლანგვაა!

ქალი, რომელიც უშუალოდ უვლის ძაღლს ოჯახში, თავისი ცხოვრების განმავლობაში ძაღლთან ურთიერთობას (გასეირნება, საკვების შეძენა, კვება, დაბანა, ექიმთან მიყვანა, თამაში სახლში და სხვ.) დაახლოებით 8 წელს ანდომებს, ხოლო მამაკაცი ნაკლებს — 7 წელს (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში განსხვავების გამო). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სიცოცხლის მესამედი ნაწილი, საშუალოდ დაახლოებით 25 წელი ჩვენ გვძინავს, მაშინ სიცოცხლის თითქმის ნახევარი დრო (33 წელი) ასე ვთქვათ, უქმად გვეხარჯება, მოკლებული ვართ შემოქმედებით მოღვაწეობას. და თუ იმაში ვპოვებთ ნეტარებას, რომ სიცოცხლის თითქმის 8 წლით უშუალოდ ძაღლთან გვიხდება ურთიერთობა, კარგად გვქონია საქმე!

### სტატისტიკის სარკეში

**უკანასკნელ წლებში ცოფით გარდაცვლილთა ყველაზე მეტი რიცხვი 1996 წელს აღირიცხა — 22 კაცი. მაღალი იყო ეს მაჩვენებელი 2004-2008 წლებშიც (5 წელიწადში) — 47 კაცი, ანუ საშუალოდ 9,4 კაცი დაიღუპა წელიწადში. ამ პერიოდში მეტად საგანგაშო იყო ის ფაქტი, რომ გარდაცვლილთა თითქმის ნახევარი „პატრონიანი“, საკუთარი და მეზობელი ძაღლების მიერ იყო დაკბენილი (პაატა იმნაძე). ეს იმის შედეგია, რომ პატრონები ზოგჯერ არ ცრიან ძაღლს, ან აგვიანებენ აცრას. მსოფლიოში ცოფით დაახლოებით 60 ათასი ადამიანი იღუპება, აქედან თითქმის ნახევარი ინდოეთში.**

2008 წლის შემდეგ ცოფით გარდაცვლილთა რაოდენობა მცირდება, ხოლო ზოგიერთ წელს არც გამოვლენილა! მაგალითად, 2015-2017 წლებში. 2018 წელს ცოფის 2 შემთხვევა აღინიშნა, 2019 წელს — ერთი. 2020 წელს კი ცოფიანი ძაღლები ისევ გამოჩნდნენ — გვაფრთხილებს ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ბატონი ამირან გამყრელიძე. მან მოუწოდა შესაბამის სამსახურებს მაწანწალა ძაღლებზე მეტი კონტროლი დააწესონ და უპატრონო ძაღლები მათთვის განკუთვნილ იზოლატორში მოათავსონ. ბატონმა ამირანმა ყურადღება გაამახვილა იმის შესახებაც, რომ საზოგადოებისთვის კიდევ უფრო საშიშია პოლიტიკური ცოფი, რომლითაც დაავადებულნი არიან ნაციონალები, რომელთა ცოფიანმა რეჟიმმა ჩვენი ბევრი თანამემამულის სიცოცხლე შეიწირა. სწორედ ასეთი ცოფიანი ადამიანების შესახებ წერდა გალაკტიონი ერთ თავის ლექსში, რომელიც ბატონ ამირანს მოაქვს სტატიაში ძაღლების შესახებ: „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები, სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი, სადაც იქნება ცოფი ნაკლები და უფრო ნაკლებ ადამიანი“.

ახლა იმის შესახებაც ვთქვათ, აღვნიშნოთ, რომ ადამიანების ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის რაოდენობით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. კორონავირუსის გავრცელების პირობებში გაძნელდა უახლესი მონაცემების მოპოვება, ამიტომ შედარებით ძველ მონაცემებს მოვიტანთ. 2005-2008 წლებში, ოთხ წელიწადში, სამედიცინო პუნქტებს ძირითადად ძაღლების მიერ დაკბენილმა, დადორბლილმა და დაკაწრულმა 150 334 კაცმა მიმართა (37584 კაცმა საშუალოდ წელიწადში), აქედან 25 164 კაცს ვაქცინაციის სრული კურსის ჩატარება დასჭირდა (6291 კაცს საშუალოდ წელიწადში), 94342 კაცი დაკვირვებას ახდენდა ცხოველზე (23 586 კაცი საშუალოდ წელიწადში), ხოლო 30 828 პაციენტს აცრების ჩატარება არ დასჭირდა (7707 პაციენტს საშუალოდ წელიწადში).



ინფექციური დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით განსაკუთრებით საშიშია მაწანწალა ძაღლები. ამ ათიოდე წლის წინათ მათი რაოდენობა 25 ათასს აღემატებოდა, კერძოდ, 1980-იანი წლების დასაწყისში, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, თბილისში სულ 500-600 მაწანწალა ძაღლი თუ იქნებოდა, ახლა კი მათმა რაოდენობამ 30 ათასს გადააჭარბა. მოსახლეობა მაწანწალა ძაღლებს კვებავს და ამით ხელს უწყობს ისედაც გამრავლების დიდი უნარის მქონე მაწანწალა ძაღლების რაოდენობის სწრაფ ზრდას. ერთი ძაღლი საშუალოდ წელიწადში 12 ლეკვს ბადებს. ასეთ შემთხვევაში მაწანწალა ძაღლებს ვერასოდეს მოვიცილებთ. ნიშანდობლივია, რომ ევროპაში მაწანწალა ძაღლები ფაქტიურად არ არსებობენ. არ შეიძლება ასე ჯგუფ-ჯგუფად დაეხეტებოდნენ ისინი თბილისის ქუჩებში. ამის გამო მეტად საშიშია, განსაკუთრებით დილით და საღამოთი სახლიდან გასვლა, სეირნობა, მითუმეტეს ბავშვებთან ერთად. ბავშვებს ძაღლების შიშით ეზოშიც ველარ უშვებენ. პრობლემაა ისიც, რომ ძაღლები დაახლოებით 15 წელს ცოცხლობენ და ათასობით დაუძლურებულ, მიხრწნილ ოჯახის ძაღლს პატრონი ბედის ანაბარად ქუჩაში უშვებს, ზოგჯერ კიდევ ბეზრდება ძაღლი და სახლიდან აგდებს. ალბათ, ნაწილი მკვდარ ძაღლს სანაგვეში აგდებს, **მაგრამ ისე დიდი ზარ-ზეიმით არავის დაუტირებია თავისი კუდქიცინა მურია, როგორც ეს ერიცახე ცერეცომ, იგივე ქათამმა ნიკა გვარამიამ გააკეთა: ძაღლი დიდი პატივით მიაბარა მიწას მამის საფლავზე. მოკლედ, რაღა გვიჭირს — ძაღლი ოჯახის წევრად მიგვაჩნია, მას ჩვენთან ერთად საწოლში ძინავს და საუკუნო განსასვენებელიც ჩვენს გვერდით მივუჩინეთ.** საზოგადოება, როგორც ჩანს, უნდა გამოფხიზლდეს და ხმა აიმაღლოს ძაღლებთან ასეთი ამაზრზენი, მახინჯი დამოკიდებულების მიმართ. უნდა გვახსოვდეს, რომ ძაღლები ინსტიქტებით მოქმედებენ და არა ცნობიერებით, ისე როგორც ყოველი სხვა ცხოველი, და ყოველივე ეს ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში დაიწყეს ცოფით დაავადებულთა და გარდაცვლილთა რეგისტრაცია. 1894-1898 წლებში სულ ქვეყანაში ცოფით დაავადდა 49 და გარდაიცვალა 20 კაცი, ანუ საშუალოდ წელიწადში თითქმის 10 კაცი დაავადდა და 4 კაცი გარდაიცვალა. რეალურად ცოფით დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს საექიმო დახმარების ორგანიზაციის შესახებ არსებული მონაცემები. გარდა ამისა, ლუი პასტერის მიერ ცოფით დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინა ახალი აღმოჩენილი იყო (1885 წ.). საქართველოში სპეციალური სამედიცინო დაწესებულება — პასტერის სადგური, სადაც ტარდებოდა ცოფის საწინააღმდეგო აცრები, პირველად თბილისში 1889 წელს გაიხსნა. ვაქცინა მოსახლეობისათვის ძნელად ხელმისაწვდომი იყო. ამასთან, შორეულ სოფლებში არც კი იცოდნენ ვაქცინის არსებობის შესახებ ან უყურადღებოდ ტოვებდნენ ძაღლის ნაკბენს, თბილისში ჩამოსვლაც ძნელი იყო. მთავარი ისაა, რომ 1890-იანი წლების დასაწყისში უკვე დაიწყეს ცოფით დაავადებულთა და გარდაცვლილთა აღრიცხვა. მონაცემები ყოველ წელს ქვეყნდებოდა მაზრების, დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის მიხედვით. სამწუხაროდ, ასეთი მონაცემების მოძიება ამჟამად საკმაოდ ძნელია.

### არჩევანი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის

**ამჟამად მეცნიერები სულ უფრო თამამად მსჯელობენ „სიკვდილის უფლების“ შესახებ. ადამიანი, რომელიც მძიმე ავადმყოფია და განიცდის გაუსაძლის და უსაშველო ტანჯვას, გამოსავალი კი არ არსებობს მისი სიცოცხლის გადასარჩენად, უნდა ფლობდეს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არჩევანის უფლებას. ადამიანის მოკვდინება ტანჯვისგან მისი გათავისუფლების მიზნით ევთანაზიად იწოდება და იგი, უპირველეს ყოვლისა, ავადმყოფის მხრივ სიკვდილის ნებაყოფლობითი მოთხოვნის საფუძველზე ხორციელდება სამედიცინო დახმარების შეწყვეტის გზით (პასიური ევთანაზია) ან ავადმყოფისთვის ქიმიური ინექციით, წამლის ჭარბი დოზის მიცემით (აქტიური ევთანაზია). ევთანაზიას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ამჟამად იგი ლეგალიზებულია მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში (ნიდერლანდები, ბელგია, აშშ-ის ერთ-ერთ შტატში და სხვ.).**

იმ ფონზე, რაც აღვნიშნეთ, სრულიად გაუგებარია რატომ ვაწყდებით მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობას, როდესაც მაწანწალა ძაღლებს, რომელთა რაოდენობა დედაქალაქში რეკორდულია და მათი დიდი უმრავლესობა დაავადებულია, შესაბამისი სამსახურები იჭერენ, რათა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა გაუკეთონ, ხოლო მიხრწნილი, გადამდები სნეულებით დაავადებულები სამუდამოდ დააძინონ ევთანაზიის მეთოდით. ხშირად, განსაკუთრებით ქალები(!!!) თავგამოდებით იცავენ მაწანწალა ძაღლებს... ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადამიანის სიცოცხლე შეეწიროს, არ მოვერიდები და ვიტყვი, ვიღაც გაუნათლებელი, ახირებული ქალების ხუშტურებსა და ჭირვეულობას.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, დაისმის კითხვა: ეთიკურია თუ არა ცხოველებზე ცდების ჩატარება?! აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მონაცემების თანახმად, აშშ-ში 20 მილიონი ცხოველი, ბრიტანეთში 3 მილიონი, კანადაში 2 მილიონი ყოველწლიურად გამოიყენება ექსპერიმენტებში. მეცნიერები შეგვახსენებენ, რომ ეს 25 მილიონი ცხოველი იმ 6 მილიონი ცხოველის მხოლოდ 1 პროცენტია, რომელსაც ყოველწლიურად ამ ქვეყნებში საჭმელად კლავენ. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყნების საშუალო მოქალაქე წელიწადში 20 ცხოველს საჭმელად იყენებს (ზოგიერთ ქვეყანაში ძაღლსაც). რა ვქნათ? რომელია უკეთესი: მილიარდობით ცხოველი დავხოცოთ მსოფლიოში ყოველწლიურად და საჭმელად გამოვიყენოთ, თუ კაცობრიობამ შეწყვიტოს არსებობა. ამასთან, აღნიშნულ ქვეყნებში ყოველწლიურად ცდებში 200 ათასი ძაღლი და კატა გამოიყენება. ეს კეთდება ადამიანების ჯანმრთელობისთვის. განა სამართლიანი იქნებოდა, აეკრძალათ პასტერისთვის ჩაეტარებინა ცდები ცოფის გამოვლენის მიზეზების შესასწავლად, თუკი ძაღლების ტანჯვის შედეგად შესაძლებელი გახდა ვაქცინის წარმოება, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა...

ევთანაზიის პრობლემა უძველესი დროიდან იყო მსჯელობის საგანი. როგორც პროფესორი მინდია უგრეხელიძე აღნიშნავს, იგი პრაქტიკაშიც გამოიყენებოდა, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა აკრძალული. ევთანაზიის სანიმუშო მაგალითია ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნის დემოკრიტეს ნებაყოფლობითი ევთანაზია, როდესაც მან, ღრმა მოხუცებულობის გამო, სრულიად ჯანსაღ გონებაზე მყოფმა, გადაწყვიტა თავი მოეკლა. დემოკრიტემ შეწყვიტა საკვების მიღება ოთხი დღის განმავლობაში. მას უცნობმა ქალებმა სთხოვეს, რამდენიმე დღე კიდევ ეცოცხლა, რათა მის სიკვდილს თესმოფორიის დღეებში უბედურება არ მოეტანა და შეძლებოდათ ედღესასწაულად. მან შეასრულა ქალების თხოვნა. რამდენიმე დღის შემდეგ დემოკრიტემ ისევ შეწყვიტა საკვების მიღება და გარდაიცვალა... ძაღლების მოკვდინება ევთანაზიის მეთოდის გამოყენებით სავსებით ბუნებრივია და ცხოველის წამების არავითარ ელემენტებს არ შეიცავს.



**ანზორ თოთაძე,**

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №7-8

◎ რატომაც არა?

# არაფერი დაეწუნება

**მაშინ**, როცა ახალი შესარჩევი ციკლის სტარტამდე სულ რამდენიმე თვეა დარჩენილი და ჩვენს ეროვნულ ნაკრებს თავკაცი ჯერაც არ ჰყავს, „არგენტინის სახლი საქართველოში“ ხელმძღვანელი **ნიკოლოზ პატარქალიშვილი** სფფ-ს „ჯვაროსანთა“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე „ვერცხლის ქვეყნის“ ავტორიტეტული წარმომადგენლის სერხიო ბატისტას კანდიდატურას სთავაზობს და დასძენს, რომ არგენტინამ ჯერ 1919, ხოლო შემდეგ — 1991 წლებში ერთ-ერთმა პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და იგი მაღალ დონეზე განვითარებული სახელმწიფოა არა მარტო ფეხბურთში, არამედ სოფლის მეურნეობაში, ტურიზმსა და სხვა დარგებში, ეს კი სახალხო დიპლომატიის გზით ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხიდის გასადებად ჩინებულ პერსპექტივად შეიძლება იქცეს.

## სადარბაზო ბარათი

სერხიო ბატისტა დაიბადა 1962 წლის 9 ნოემბერს. დაცვითი სტილის საყრდენი ნახევარმცველი თამაშობდა არგენტინოს ხუნიორსში, რივერ პლეიტში, ნუევა ჩიკაგოში, ოლდ ბოიზში და იაპონურ ტოსუ ფიუჩერზში.



**საკლუბო ტიტულები:** ქვეყნის ჩემპიონატების (მეტროპოლიტანო და ნასიონალი) და პრიმერა დივიზიონის გამარჯვებული, კოპა ლიბერტადორესის მფლობელი. არგენტინის ნაკრებში 1985-90 წლებში 39 შეხვედრა ჩაატარა. არის მსოფლიოს ჩემპიონი (1986) და ვიცე-ჩემპიონი (1990).

**სამწვრთნელო კარიერა:** არგენტინოს ხუნიორსი, ტალიერესი, ნუევა ჩიკაგო, გოდოი კრუზი, ურუგვაის ბელა ვისტა, არგენტინის ოლიმპიური და ეროვნული ნაკრებები (2010-11), ჩინეთის შანხაი შენჰუა, ბაჰრეინის ნაკრები, ყატარის ამავე სახელწოდების კლუბი.

**სანაკრებო მიღწევა:** პეკინის ოლიმპიადის მოგება (2008). **ნახევარფინალი** — ბრაზილიასთან (რონალდინიოს, ტიაგო სილვასა და მარსელოს გუნდი) — 3:0.

**ფინალი** — ნიგერიასთან — 1:0 (დი მარია). იმ ოქროს თაობაში თამაშობდნენ მესი, რიკელმე და აგუერო. **იქნებ, ღირდეს დაფიქრებად?**

**გიორგი შოთაძე**

◎ 64

# გამოჩენილ მოჭადრაკეთა რჩეული კომპოზიციების დემონსტრირება

**ცხოვრებაში ხშირია მდგომარეობა, როცა უნდა დაფიქრიდე, როგორ მოიქცე, რათა ბოლომდე გამოავლინო საკუთარი ძალები და დაძლიო წინააღმდეგობები.**

ამისთვის საჭიროა შეიმუშავო წინასწარი გეგმა, მაგრამ ეს გეგმა მოჭადრაკეთა ორთაბრძოლისას ყოველთვის როდი ამართლებს, რადგან ხდება გადახრები რეალობასა და ჩანაფიქრს შორის.

ჭადრაკის თამაში ამ შემთხვევაში ერთგვარი გზის მაჩვენებელია, რომელიც საწყაო გადაწყვეტილების შესრულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ხშირად ძალთა თანაფარდობა დამოკიდებულია არა ფიგურათა რაოდენობაზე, არამედ მათ გონივრულ მართვაზე. ამიტომაა, რომ საუკუნეების მანძილზე ვითარდება საჭადრაკო თეორია და მისი განუყოფელი კომპოზიციების ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებიც არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობისაა, არამედ ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელიც.

**თამაზ შენგელია**



I
**ბრწყინვალე მეორე პაულ კერესი (1916-1975)**
**1936**



II
**დინამიური კომპოზიციების შემოქმედი გერმან მატისონი (1894-1932)**
**1927**



III
**ქართული ეტიუდის მესაძირკვლე გია ნადარეიშვილი (1921-1991)**
**1970**



**მოგება**

**სამატჩო შეხვედრაში დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაქს ეივე. 1938-1973 წლებში მსოფლიო ჩემპიონატებს მხოლოდ ფინალური სტადიებიდან ეთიშებოდა.**



**მოგება**

**მსოფლიოს მოყვარულთა ჩემპიონატების ტურნირებში პარიზში (1924) — I ადგილი და ჰააგაში — II ადგილი.**

**მსოფლიო ოლიმპიადებზე თავკაცობდა ლატვიის გუნდს.**



**ყაიმი**

**საერთაშორისო დიდოსტატი (1980). ავტორია 400-ზე მეტი ეტიუდის და მრავალი საინტერესო წიგნის. საბჭოთა კავშირის ჩემპიონია ეტიუდების შედგენაში (1973-1990).**

## ამოხსნები:

I- მc2+! მფa2 2. მb4+ მფa1 3. ლa2+! ხa 4. მc6 (რასაც მოჰყვება მd4, შემდეგ მხვან მd/2)
II- მf7+ მფg8 2. a7+ ეe8 3. მd6 ეd8 4. მf5! კf8 5. b6 კc5 6. მe7+ მფf7 7. მc8! ე:c8 8. b7
III- a8ლ+! მფf8 2. მde6+ მფf7 3. მd8+ მფf8 4. მde6+

**შენიშვნა: ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ვარიანტებიც ამართლებენ დასახულ მიზანს.**

◎ ლეგიონერი

# კაპიტნის გამოწვევა



**ეროვნულ ნაკრებს მხოლოდ მწვრთნელი რომ აკლდეს, რაღა გვიჭირდა. მდგომარეობას ართულებს მთელ რიგ წამყვან ფეხბურთელთა უკლუბობა ან ძირითად შემადგენლობაში ადგილის დეფიციტი, რაც ავტომატურად სათამაშო კონდიციებიდან ამოვარდნასა და საბრძოლო პრაქტიკის ნაკლებობას ნიშნავს.**

საბედნიეროდ, „ჯვაროსანთა“ კაპიტანი **ჯაბა კანკავა** სასიამოვნო გამონაკლისი აღმოჩნდა, რადგან მან ახალი სეზონი ახალ გუნდში ჩარიცხვით აღნიშნა. საუბარია ფრანგულ „ვალანსიენთან“ ნახევარი წლით გაფორმებულ კონტრაქტზე, რაც იქაურთა კმაყოფილების შემთხვევაში ხელშეკრულების კიდევ ნახევარი წლით გახანგრძლივებას გულისხმობს. სხვათა შორის, მოლაპარაკებათა მსვლელობისას ერთბაშად სეზონნახევრით შეთანხმების ვარიანტიც განიხილებოდა, მაგრამ ჩვენმა თანამემამულემ ეს წინადადება უარყო. შეგახსენებთ, რომ სწორედ „ვალანსიენს“ უკავშირდება გახმაურებული სკანდალი, რასაც ბერნარ ტაპის და „მარსელის“ სამაგალითო დასჯა მოჰყვა.

**მანუჩარ გიორგაძე**

## ვაქცინაციის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა დასრულებულია

**ვაქცინაციის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა დასრულებულია — გეგმის საბოლოო დეტალებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს ვაქცინით მოსახლეობის მოცვის გეგმა და ინფორმაცია იმ სამიზნე ჯგუფების შესახებ, რომელთა ვაქცინაცია პირველ რიგში განხორციელდება. გეგმა ასევე მოიცავს ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ლოგისტიკურ თუ საოპერაციო საკითხებს. დოკუმენტი მომდევნო კვირას უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში განიხილება. ამასთან, ისაუბრეს იმ ნაბიჯებზე, რომელიც საქართველოში ვაქცინის შემოსვლის მიმართულებით იდგმება. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ გრძელდება ინტენსიური მუშაობა, რათა ქვეყანაში ვაქცინა რაც შეიძლება მალე შემოვიდეს, ამის უმთავრესი წინაპირობა კი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეკვალიფიკაცია და ვაქცინის საერთაშორისო აღიარებაა.

## თბილისში ორი კოვიდინფიცირებული ტაქსის მძღოლი დააჯარიმეს

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის გავრცელების წინააღმდეგ მოქმედი რეგულაციის დარღვევისთვის თბილისში 2 კოვიდინფიცირებული ტაქსის მძღოლი დააჯარიმა.**

როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2 კოვიდინფიცირებული ტაქსის მძღოლი — 1988 წელს დაბადებული გ.ფ. და 1975 წელს დაბადებული ზ.ს. თბილისში იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევისთვის დააჯარიმეს. გ.ფ. კოვიდაღრიცხვაზე 2021 წლის 5 იანვრიდან იმყოფება, ზ.ს. კი — 13 იანვრიდან. ორივე მათგანზე სპეციალისტებმა თვითიზოლაციის რეკომენდაცია გასცეს. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა კოვიდინფიცირებულმა პირებმა თვითნებურად დატოვეს იზოლაციის ადგილი.

სამართალდამცველებმა კორონავირუსით დაინფიცირებული გ.ფ. იმ დროს დააჯარიმეს, როდესაც იგი თბილისში, წერონისის ქუჩაზე, ავტომობილით გადაადგილდებოდა. რაც შეეხება კოვიდაღრიცხვაზე მყოფ ზ.ს.-ს, იგი სავაჭრო ცენტრ „ქარვასლას“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ტაქსის ტრაფარეტიანი ავტომობილით გადაადგილებისას დაჯარიმდა.

პოლიციამ ორივე კოვიდინფიცირებული ტაქსის მძღოლი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42-ე პრიმა-10 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის, 2000-2000 ლარით დააჯარიმა. ისინი დაჯარიმების შემდეგ კოვიდსასტუმროში გადაიყვანეს.

## ვაქცინაცია პასპორტებში აღინიშნოს!..

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში განიხილავენ კოვიდ-19-ის ვაქცინაციის პასპორტების შემოღებას და მის სავალდებულო ატრიბუტად დაწესებას იმ პირთათვის, რომელთაც სურთ, საერთაშორისო ფრენებით ისარგებლონ.** ამის შესახებ ჯანმოს ევროპული ოფისის იმუნიზაციის დეპარტამენტის უფროსმა სპეციალისტმა, ოლეგ ბენეშმა განაცხადა.

**„კორონავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინების გამოჩენისთანავე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია სწავლობს საერთაშორისო მოგზაურთა ვაქცინაციასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პრობლემებს. საერთაშორისო ვაქცინაციის სერტიფიკატის გამოყენება არის ჯანმოს საერთაშორისო ჯანდაცვის რეგულაციებით დადგენილი საკითხი, რომელიც აქტიურად განიხილება ამ დრომდე“,** — განაცხადა ჯანმოს ევროპული რეგიონალური ოფისის წამყვანმა ექსპერტმა.

# ნათლისღება-წყალკურთხევა

## გამოცხადება უფლისა და ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



**19 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს საუფლო დღესასწაულს – წყალკურთხევას-ნათლისღებას ზეიმობს, 20 იანვარს – წმიდისა დიდებულისა იოანე ნათლისმცემელის კრებას.**

მაცხოვარმა ჩვენმა – იესო ქრისტემ კაცობრიობის ცოდვები იტვირთა და „ხატი მონისა" მიიღო ნათლისმცემელის ხელით, იორდანეშიც მოინათლა. ამით მან ნათლისღების აუცილებლობა ასწავლა ყველას. ამ დროს ცა გაიხსნა და სიწმინდის, მოკრძალებისა და მტრედის სახით ერთგულების სიმბოლო – სულიწმინდის მადლი (სულიწმინდა) მათზე გადმოვიდა: **„ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავი"**... მამის ხმაც გაისმა – მაცხოვრის ღვთაებრიობა წმინდა სამების განცხადებამ დაამოწმა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ იესო ქრისტე წყლიდან გამოსვლის შემდეგ იორდანეს უდაბნოში განმარტოვდა, რათა ლოცვითა და მარხვით წინასაუკუნეთა მიერ მისთვის განსაზღვრული საქმისთვის – კაცობრიობის ხსნისთვის მომზადებულიყო. 40 დღე და ღამე გაატარა მან ამ ველურ ადგილებში, სადაც მაცდური ეშმაკი დაამარცხა და სულიერად ძლიერი, მოწაფეებისა და ხალხის თანხლებით დაბრუნდა ყოვლადწმინდა დედასთან...

იესო ქრისტემ იგრძნო, რომ ამ ქვეყნად მისი მოვლინება ზეციური მამის განგებით მოხდა, რომ ის მამის ნების აღმსრულებელია...

წყალკურთხევა (დიდი აიაზმა) დედაეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა... ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ლოცვით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს!

**გიული ლიპარტია**

◉ ო, ენავ ჩვენო!

# ნაწველარა თუ იწველება თურმე?!

## ვარაუდს კაცი არ მოუკლავს!

**ჩვენო სანთლით საძებარო მკითხველო, ისედაც წყალწაღებული ლარიანი რომ გაგიმეტებიათ ჩვენი გაზეთის შესაძენად, იქნებ გახსოვდეთ ცხონებული ოტია იოსელიანის შეგონება: ჩვენ, პატარა კი არა, მცირერიცხოვანი ერი ვართ მაგრამ ისიც ხომ ვიცით, წიაღისეულში რკინაა ბევრი, თვარა, ოქრო მცირედააო!..**

ასე სახელდახელოდ გვთავაზობდა მარტივ მეტაფორას: მრავალრიცხოვანი ერები, ვთქვათ, ფინიკიელები, ეტრუსკები, სხვანი იმიტომ გადაშენდნენ, რომ რკინა ადვილად ჟანგებადია, კოროზია ჭამს, ხოლო ოქროს ჟანგი საერთოდ არ ეკარებაო!..

ოტია რისი ოტია იქნებოდა, იქვე იუმორზე არ წასცდენოდა სიტყვა: სად არიენ ის მრავალრიცხოვანი შუმერები, ერთი ზურა ქაფიანიძე რომ შემორჩენილა ნიმუშადო!..

ნათელში ამყოფოს მამაზეციერმა, მაგრამ ისეთ თემას მოვეჭიდე, ჩემზეც შეეძლო ეთქვა: სა არიენ ის შანიძეები, ჩიქობავები, თოფურიები და სხვები, ერთი გიზოიე ზარნაძე რომ დაგვდგომია ქადაგადო!.. ჰიპოთეზად ნუ ჩამითვლით ჩემს ვარაუდს, მაგრამ ხალხური მეტყველების უკიდეგანო ოკეანეში ერთ ისეთ რეალობას ჩავუფიქრებივარ, რის თაობაზეც ვბედავ საუბარს და კი ვთქვი დასაწყისში, -ვარაუდს კაცი არ მოუკლავს-მეთქი.

ერთი სიტყვით, მართლა რომ არავინ წაიქილიკოს, რას გვეგლახაჭრიაშვილებაო! – შევეშვები წიაღსვლებს და მოკლედ მოვჭრი: კაი ხანია, დაკვირვებას ვარ – მშობლიურ იმერეთში, სადაც ვშობილვარ ამ 88 წლის წინათ(ასე რომ, მისაღებიც და მიუღებელიც ჩემს ასაკს დააბრალეთ), საკმაოდ ფესვგადგმულია მეტყველებაში ზმნების უცნაური, მოდიფიცირებული უღლილება, თითქოს მიმღეობაა, თითქოს – თურმეობითი.

მაგალითები: „– კი მარა, ისიდორეს ძროხა რატო არ გიყიდიათ, 11 ლიტრს ნაწველება დღეში?! – მძვირად დოუფასებია შე ქალო, 5000 ლარი! ღმერთი აღარაა?! ოთხნახევარს ქე ნაძლევარა ჩემი კაცი, მარა არ უქნია ისიდორეს".

ჰოდა, ვსვამ კითხვას: გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, რა არის „ნაწველარა" და „„ნაძლევარა?" და, რაც მთავარია, არის თუ არა ეს სიტყვები გასაგები ნებისმიერ რეგიონში მცხოვრები ქართველისთვის?!

ან, კიდევ: „გოუთავისუფლებიათ ლიდა მასწავლებელი სამსახურიდან. ვერ ნასწავლება ხეირიანად. ისე, ცოდვა რად მინდა და, მაინცდამაინც, არც ჩვენი ბოვშვი ნასწავლა ბეჯითად". ჰოდა, ისევ და ისევ: რა არის „ნასწავლება" და „ნასწავლა".

კარგად ვიცი, ღირსების მქონე ადამიანი რომ იაფფასიან სენსაციებს უნდა ერიდოს და ამას არც ვაპირებ; თანაც, შესაძლოა, ეს საკითხი ენათმეცნიერთათვის სულაც არ იყოს, „ახალი ამერიკა!" მაგრამ, რადგან თქვენი მონა-მორჩილი არ გახლავთ პროფესიონალი ლინგვისტი, დილეტანტურ დონეზე ვკითხულობ: რა ეწოდება ხალხურ მეტყველებაში ხშირად ხმარებულ ასეთ სიტყვებს, მიმღეობაა? თურმეობითია? თუ რა? და ერთიც: რაგინდ ორჭოფულადაც უნდა მოგეჩვენოთ დასმული კითხვა, პასუხიც ორჭოფული არანაირად არ ეგების!

**გიზო ზარნაძე**

**P.S.**

**მახსოვს, ჩემი უფროსი დაიკო მთელი საღამო მეჩიჩინებოდა: ხვალ ორიანს გპერტყავს ნადია მასწავლებელი, გაკვეთილი არ იციო! სინამდვილეში, ხუთიანი დავიმსახურე და, როცა თალიკოს „ვახარე", წავუმატე: რაო, არ მნაცოდნარა?!**

**შვიდ ათეულზე მეტი წლის წინანდელი ამბავია, მარა, გუშინდელივით მახსოვს, არ შეუცხადებია „მნაცოდნარა".**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
ვაჟა ფშაველას ქ. №48
599 79-76-79;
568 82-09-84

სანთელი

**პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" დიდი გულისტკივილით და მწუხარებით იუწყება პარტიის დამფუძნებლის, კარგი ქართველის, თავისი ქვეყნის პატრიოტის**

# გურამ ჯაიანის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.**

---

**საქართველოს პარლამენტის მე-5 მოწვევის, ფრაქცია „მრეწვენლების" წევრები მწუხარებით იუწყებიან პარტიის დამფუძნებლის**

# გურამ ჯაიანის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.**

სანთელი

# გურამ (სეფე) ვარდოსანიძე



**შეუმჩნევლად განვლო ორმოცმა ტკივილიანმა დღემ ჩვენი უსაყვარლესი მეგობრის გურამ (სეფე) ვარდოსანიძის გარდაცვალებიდან.**

**ჩვენო სეფე, ერთი წუთითაც არ გაგვნელებია შენი გარდაცვალებით განცდილი ტკივილი. გვიჭირს ამ რეალობასთან შეგუება.**

**ძალზე მტკივნეულია წარსულში ისაუბრო სეფეზე, რომელთან ერთადაც მთელი ცხოვრება გავატარეთ, რას იზამ, უფალმა ასე ინება...**

**გურამის გარდაცვალებამ უმძიმესი ტკივილი მიაყენა მის შესანიშნავ ოჯახს, ახლობლებს, ყველას, ვინც მას იცნობდა.**

**განათლებული, ქართული პოეზიის შესანიშნავი მცოდნე და მოჭირნახულე, საუკეთესო პიროვნება ხშირ შემთხვევაში ჩრდილში ყოფნასაც ამჯობინებდა, მაგრამ ნიჭიერება და გონებამახვილობა არასოდეს იმალება...**

**გურამი წლების მანძილზე სუხიშვილების ლეგენდარული ანსამბლის ღირსეული წევრი გახლდათ. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.**

**სეფე ურთიერთობისას საოცრად გამორჩეული და გულისხმიერი იყო, მასთან მეგობრობა კი – ულალატობის გარანტია.**

**ხშირად ნახავდით ვაკის ეკლესიის ეზოში სტიქაროსან სეფეს, უპოვართა მხრიდან გარშემორტყმულს, რომელიც მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდა.**

**მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.**

**მადლობა შენ, რომ არსებობდი!**

**ჯიმი, დემური, კოტე, ვატო ყიფიანები, იმედო, ზურაბ კახიანები, დათო მაღალთაძე, ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე, თენგიზ ურთმელიძე, ჯუმბერ ბერაძე, თამაზ კიკალეიშვილი, გივი სიხარულიძე, ვახტანგ ვეფხვაძე, ოთარ ბრეგვაძე, ბადრი წილოსანი, ავთო წილოსანი, გოჩა ძასოხოვი, დიმა კოტეტიშვილი, ზურაბ სვანიძე, ირაკლი ბიბილაშვილი, ვალერი ვაჭარაძე, ამირან ბუაძე, ილო ხუციშვილი, ალიკო ოღლიშვილი, კოტე ვეფხვაძე, სერგო გეგეჭკორი, კობა ამირხანაშვილი, ბესო ბერულაშვილი, ცეზარ შევარდნაძე, ვალერი კომახიძე, გელა უგრეხელიძე, ვანო უგრეხელიძე, შოთიკო შარაშენიძე, მერაბ ზაქარეიშვილი, თენგიზ (მიჩურინა) ძოიავა, ომარ სიამაშვილი, დიტო სარდანაძე.**

**ამ დღეებში გავიგეთ კიდევ ერთი, დიდად სამწუხარო ამბავი: – გარდაიცვალა ჩვენი თაობის მეტად გამორჩეული, ახალგაზრდობის წლებიდან ჩვენი მეგობარი, რიგითსა თუ ხელმძღვანელ, პარტიულ თუ სახელმწიფო თანამდებობებზე ჭეშმარიტად სულიერად სუფთა და ეროვნული პრინციპებისადმი ერთგული, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე**

# გივი ანჩაბაძე

**და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს.**

**რევაზ არველაძე, გივი აბდუშელიშვილი, ჯემალ ბერიძე, დიმა გოგიჩაძე, გუჩა დათუნაიშვილი, კორნელი კინწურაშვილი, თამაზ ლეკიშვილი, ვახტანგ ლომაძე, ჯემალ ფაშალიშვილი, რამინ ძეცბაია, თენგიზ უჩანეიშვილი, ბიჭიკო ჯანჯღავა.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სამძიმარს უცხადებს აკადემიკოს ოთარ ნათიშვილს დის**

# ნათელა ნათიშვილის

**გარდაცვალების გამო.**
**დაკრძალვა: სამშაბათს, 19 იანვარს, 13 საათზე;**
**მისამართი: კოსტავას ქ. №75, VI სადარბაზო, IV სართული.**

**ზაალ ეზანოიძე**

# პოეტის ერთი ლექსი

## ორმაგი სახელები



**ფოთოლს გადათარგმნი ნეშოდ**
**სიტყვას გაუსინჯავ ლონეს,**
**თავი უნდა ინუგეშო,**
**ამნაირი ენის მქონემ.**

***ჩემივე ძველი ლექსიდან***

ფოთოლს რო ნეშო ვკადრე — კომში მოვთარგმნე ბიად.
ერქვა რაფინდი ადრე, ახლა რო დაფნა ჰქვია.
ბაბილო — ფურისულა, ბორბალა — ხარისთვალა —
მალავს საკუთარ სურათს — არ უნდა გაითვალოს.
ასეა, სხვათა შორის — მიზეზი არც რო რითმა —
ერთი საგანი ორი სახელით ბევრჯერ ითქვა:
მურყვანი არის თხმელა და თუთა არის ბჟოლა,
დაცდა ტირიფი ენას და წნორი აიყოლა.
კაკალს ვეძახით ნიგოზს, ნიგოზს ვეძახით კაკალს,
ხელით არ უნდა ვკრიფოთ — კეტის სჭირდება დაკვრა.
თხმელაზე ნაზად მღერის — დამგზავრებია ნიავს,
ადესა — ლურჯი ფერის — იზაბელაც რომ ჰქვია.
მხალი-ნაცარა-ღვალო, დამფრთხალი ქარის ხმაში,
გამოირჩევა თვალო, მწვანე ბალახის ზღვაში.
თრიმლი ნარინჯის ხეა, დაკოპლილი აქვს ფრთები,
სულ ტალღა-ტალღა მიაქვს ქართლის, კახეთის მთები.
და კატაბარდა უსურ ვაზად ითარგმნა თავად,
ტოტიდან ტოტზე, თუ სურს, თვალის ხამხამში გავა.
ებურბუშალა ბალახს ბაბუაწვერა როცა,
ქართული სიტყვის ძალას პირჯვრის დაწერით ლოცავ.
ჩინარს, გაქცეულს ცისკენ, ანუ იგივე ალვას,
ამხელს თავისი სიგრძე — არ უხერხდება მალვა.
ალილა — ბარისპირა, ბელესი ბერსელია,
მთა-მთა შეგხვდება ძვირად, დაბლობებს შესევია.
ბატიბალახა — ღორის აჩემებული ქადა,
წაეკიდება ცეცხლი ისედაც მსუნაგ მადას.
ქორაფი-ნეკერჩხალი, ხეჭრელი ჰქვია კვიდოს-
ბევრი მზე, ბევრი წყალი, ცოტა ნიავიც კიდევ.
ბუჟუჟა-ჰორტენზია, მისი გზა, მისი ნება,
გასული ღობეზეა — მაღლიდან იმზირება.
ხუტკმელი-თეთრეკალა, მისი დრო, მისი ალო,
ნაყოფს რომ მორცხვად მალავს, რო ვიპოვით და ვხარობთ.
ბუმბუსა — ლაქაშია, მოლოქა — დიდყურება,
და თვალებს რახან შია — ხევს გაღმაც იყურება:
მოჩანს გოროხა-ბარდა, კრაზანა დასეული,
მოჰკიდებია ხარდანს და სხეულს ამზეურებს.
აზნაურაა ყანის — იასაც ეძახიან —
ამშვენებს დილის ნამი — ფერი მჩატე და ღია.
ლაკარტიაა გლერტა, გრამაფონაა ხვართქლა —
სიმინდს რო თასმად ერტყა — თავი ორთავემ გათქვა.
თივაბალახა — ძურწა — სუნს რო დაიკრავს ქალის,
დავბერებულვარ, თუმცა, მაინც გამირბის თვალი.
ტოკავს ალუხი — ძელქვა, ბამბის ხე — ხებუერა,
როგორ ამშვენებს — ვერ თქვა — გრიგალთან შეგუება.
აგერ, დიდგულა — ანწლი — სჭირდება ყურის გდება,
ჩამუქებია ღაწვი — სიბნელეს ურიგდება.
მოლის იორდასალამს გუგულის კაბა ჰქვია,
არ ყოფნის როცა ძალა — მორცხვად ნებდება ნიავს.
ჩირგვი — იგივე ჯაგი, ბობღია ჩრდილი შვენის,
მოჭრილი ერთი თარგით, მეტყველი ერთი ენით.
ჰა, თავყვავილაც ითხოვს — იწოდოს ფარსმანდუკად,
ცოტა ზედმეტი სითბო და კოხტაობა უყვარს.
ტუხტი — იგივე ბალბა, ბუტია — ქრიზანთემა...
უახლოვდება ახლა, თანდათან, მიზანს თემაც:
უთქმელს ვეძახით ურთხმელს — ელავს გარეთ და შიგნით,
ერგო ეს ენა რუსთველს და ჩვენ რუსთველის წიგნი!..

**ქუთაისი, 2020 წ.**

# ქუჩის მუსიკოსები – კონსერვატორიაში

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, მუსიკალური პროექტის „ქუჩის მუსიკოსების ფესტივალი“ ონლაინ ფორმატში ჩატარდა.**

ქუჩის მუსიკოსებისა და საზოგადოებისათვის ცნობილი შემსრულებლების მონაწილეობით ერთობლივი კონცერტის ნახვა მაყურებელს საზოგადოებრივი მაუწყებლის საახალწლო ეთერში შეეძლო. ფესტივალის მონაწილეებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა მიმართა და სამინისტროს ინიციატივა გააცნო.

**„მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა მოგესალმოთ „ქუჩის მუსიკოსების ფესტივალის“ მონაწილეებს. ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ პანდემიით განპირობებული გამოწვევების მიუხედავად, ერთობლივი ძალისხმევით, მოხერხდა ქვეყანაში კულტურული ცხოვრების შენარჩუნება, გამრავალფეროვნება და ახალი იდეების მხარდაჭერა. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, ფესტივალის სამ მონაწილეს საშუალება ექნება, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიაროს ორთვინი სპეციალური კურსი გიტარის კლასში. მე ვიცი, რომ თქვენ ამის დიდი სურვილი გქონდათ.მსურს, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი გუნდი ყოველთვის იდგება ნიჭიერი ხელოვანების გვერდით და ძალისხმევას არ დაიშურებს მათთვის სხვადასხვა საინტერესო შესაძლებლობის მხარდაჭერისა და მათი შემოქმედების პოპულარიზაციისთვის. წარმატებებს ვუსურვებ ფესტივალის თითოეულ მონაწილეს“, —** განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.




# ინაუგურაციაზე შეპარვას ცდილობდა

**ვაშინგტონში, ერთ-ერთ საკონტროლო პუნქტთან პოლიციამ დააკავა პირი, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ინაუგურაციაზე დასასწრები ყალბი აკრედიტაცია, იარაღი და 500 ვაზნა აღმოაჩნდა. დაკავებული უესლი ალენ ბილერია. მისი ავტომობილი პოლიციამ 15 იანვარს გააჩერა და შეამოწმა. სწორედ ამ დროს აღმოაჩინეს ყალბი დოკუმენტი და იარაღი.**




პოლიციის ინფორმაციით, მას ვაშინგტონის ტერიტორიაზე იარაღის ტარების ლიცენზიაც არ ჰქონდა. აშშ-ში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისა და საპროტესტო გამოსვლების ფონზე, ბაიდენის ინაუგურაციისთვის, რომელიც 20 იანვარს გაიმართება, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია მიღებული.

# ჰიმნს ლედი გაგა შეასრულებს

**ამერიკელი მომღერალი და მსახიობი ლედი გაგა ჯო ბაიდენის ინაუგურაციაზე ამერიკის ჰიმნს შეასრულებს. აღსანიშნავია, რომ ლედი გაგა ბაიდენის დიდი გულშემატკივარია და მის საარჩევნო კამპანიაშიც აქტიურად იყო ჩართული.**



როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ლედი გაგას შემდეგ სცენაზე ცნობილი ამერიკელი მომღერალი, მსახიობი და მოცეკვავე ჯენიფერ ლოპესი გამოვა, ამ დროისთვის დამატებითი დეტალები, თუ კონკრეტულად რას გააკეთებს მომღერალი უცნობია. ინაუგურაციის ტრანსლირების შემდეგ დაიწყება სპეციალური შოუ, რომელსაც ტომ ჰენქსი გაუძღვება და ტელემაყურებლის წინაშე დემი ლოვატო, ჯონ ბონ ჯოვი, ენტონი კლემონსი და ჯასტინ ტიმბერლეიკი წარდგებიან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

**ავტორთა საყურადღებოდ!**
**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 20 იანვარს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.2987; ევრო - 4.0033;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5044;
100 რუბლი - 4.4956; თურქული ლირა - 0.4463;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9405;
1000 სომხური დრამი - 6.3345.

**ამინდი 18 იანვრისთვის**

**აღმოსავლეთი საქართველო:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –5, | დღე | +5 |

**დასავლეთი საქართველო:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +4, | დღე | +9 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –3, | დღე | +4 |
| თბილისი: | ღამე | +2, | დღე | +6 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge